

ଶାହମାର୍ଗିଲଙ୍କ ନାନାରୂପିନୀ  
ପ୍ରକାଶନାଳୀ

No ॥

ତଥାରାଜାଳୀ

1908

## მინიატურები

### ექვთნისა „ფეხიდისა“

I	სურათი. ბავში . . . . .	2 . . . . .
II	ტურები და სპილო (რუსულით) ტასრისი . . . . .	3
III	მიჩვევა (რუსულით) ბეს. გაშძესი . . . . .	5
IV	მოხერხებაც ისეთი უნდა (ფრანგულით) . . . . .	6
V	ბეკეჯისი და მელის ამბავი. ზღაპარი თ. რაზიგაშვილისა	8
VI	საკვირველი ჭიები (რუსულით) დასასრული იქნება ანიკასი . . . . .	21
VII	წვრილმანი: ანდაზები, გამოცანები, გასართობი და სხ.	31
 VIII დედა. ლექსი იასამანისა		33
IX	ჯიუტი თხა. მამინ სიბირიაჟის ზღაპარი. თარგ. ეჭ. მესხისა . . . . .	34
X	საფრანგეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყო- ბილება, ავ. გომართლის . . . . .	41
XI	უგულო ბავში, მოთხრ. მონგომერისა, გაგრძელება თარგ. ელ. წერეთლისა . . . . .	48
XII	მანქანა მეფეა და შრომა—ფული (გაგრძელება იქ- ნება) ა. ფ. . . . .	57
XIII	წვრილმანი: ანაგრამა, ზმა და სხვა და სხვა ამბები	63
XIV	ბუნების ლექსიკონი, ნაწილი პირველი, შეღვენი- ლი იღ. ალხაზიძეილის მიერ . . . . .	9

მიიღება ხელის მოწერა

**1908 წლის**

**ჯეჯილზე**

საქართვილო ნაციონალური  
უნივერსიტეტი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო  
ფაპურდი, გახდი ყანა!..  
დ. ი.

№ II

თებერვალი, 1908

© გელიშაძი გეორგიაშვილი

თ ვ ი ღ ი ს ი

ელიქტრონიკმბეჭდვი ამბ. „შრომა“, მიხეილის პრ., № 65.  
1908



ନାନି-ନାନା, ନାନାମ!  
ହେମା-ଲ୍ୟାଲାମ!

## ტურქი და სპილო.



ერებმა რაც ტურქი ნადირის ლე  
ჰი იქო სულ შეჭამეს და არ იცო-  
დენ რა ექნათ!


ერთმა მოხუცმა ტურამ მოი-  
გონა, როგორ გამოიყენა თავი, წავიდა ერთ სპი-  
ლოსთან და უთხრა:

— ჩვენ გევანდა მეფე, მაგრამ გერ გაუძლევა საქ-  
მეს. ისეთ ბრძანებებს ვასცემდა, რომლის ასრულება  
შეუძლებელი იქო. ახლა გვინდა სხვა მეფე ამოვირ-  
ჩიოთ. მე ჩვენებმა გამომგზავნეს, რომ გთხოვოთ  
მეფეთ წამობრძანდეთ. ჩვენ მუდრო და დამშვიდებუ-  
ლი ცხოვრება გვიუვარს, არასოდეს თქვენ ბრძანებას  
არ გადაუვალთ და უოშელთვის თქვენი მორჩილი მო-  
ნები ვიქნებით.

სპილო დათანხმდა და გაჭევა ტურას. ტურამ მიიუ-  
ვანა ერთ ჭაობში. სპილო შეი ჩაიფლა. ტურამ უთხრა:

— გვიბრძანეთ როგორ მოვიქცეთ და თქვენ  
ბრძანებას დაუუღწებლივ აგასრულებთ.

— ამომიუვანეთ ახლავე ამ ჭაობიდან. უთხრა  
სპილომ.



ამაზე ტურას გაეცინა და უპასუხა: სორთუმით მო-  
შვიდეთ ჩემ კუდს და ამოგიუვანთ.

— განა აგრე შეიძლება ჩემი ამოუვანა? უთხრა  
სტილომ.

ტურამ ამაზე უპასუხა: მაშ რათ გვიბრძანებთ  
ისეთ რამეს, რომლის ასრულება არ შეიძლება. წილ  
ნანდელი მეფეც იმიტომ გავაგდეთ, რომ ისეთ ბრძა-  
ნებებს გასცემდა, რომლის ასრულებაც შეუძლებელი  
იყო.

სტილო ჭაობში ამოიხრჩო, ტურები დაქსივნენ  
და შეჭამეს.

ტასოსი.

(რუსული)



## მიზანი.



რომა მეფემ ჭამთარში ნახა, რომ  
მთლიან ტიტოველა კაცი იდგა თოვა-  
ლში და მუშაობდა; მეფეს ძალიან გა-  
უგირდა და ჰყითხა: „კაცო! ნუ თუ  
არ გცაუა შიშველ-ტიტოველი რომ მუ-  
შაობ?“

— „დიდებულო მეფე! გცივათ თუ  
არა თქვენ პირის სახეზე?“ ჰყითხა  
ტიტოველმა მუშაბ.

— „არა, პირის სახეზედ მე სრულიადაც არა  
მცირა იმიტომ, რომ პირის სახე მუდამ ახდილი და  
ტიტოველი მაქვს და დაჩვეულია სიცივეს“ ბრძანა მე-  
ფემ.

— „მართალია, თქვენთ უდიდებულესობავ, მთელი  
ჩემი ტანიც პირის სახესავით მუდამ ტიტოველია და  
მიჩვეულია სიცივეს და რაგასაკვირველია, რომ არა  
მცირდეს?“ უპასუხა გლეხმა.

ბეს. ვაშაძე.

(რუსულით.)

# მოხერხებაც ასეთი უნდა!

(ფრანგულით)



რო დიასახლის ბოთლებში ზეია  
თუნის ზეთი ჭქონდა შენახული.  
ბოთლები ქაღალდით მაგრა იუო  
დაცობილი. კორგა ხანს არ მო-  
უნდათ ზეთი. როდესაც მოსამ-  
სახურე ქალმა საკუჭნების კარე-  
ბი გააღო ზეთის ჩამოსაღებათ  
თაროდან — ნურა თვალმა ნუ ნა-  
ხოს, რაც იმან ნახა. ბოთლე-  
ბი პირდია იდგა და ზეთი შიგ  
ნახევრათაც აღარ იუო.


რა იქნა ზეთი? ბოთლები გაბზარული არ იუო,  
რომ დაღვრილი იუო. გინ დაცობა ბოთლები, გინ წა-  
იდო? ქურდები თაგვები აღმოჩნდნენ. თურმე ჯერ და-  
სუნეს დაცობილ ქაღალდს და როცა იკრძნეს, რომ  
ბოთლებში გემრიელი რაღაც არის, შეუდგნენ მუ-  
შაობას, ქაღალდს ღრმობა დაუწევეს და მაღვეც მო-  
აშორეს სრულიად ეს ქაღალდი. დახეთ უბედურებას,  
ბოთლს კიწრო პირი ჭქონდა და შიგ თავის ჩაუოფა  
შეუძლებელი იუო. რა ექნათ, არ იცოდენ! ეს მეტათ

## მოხერხებაც ასეთი უნდა!

გემრიელი საჭმელი უნდა ეოფილიყო და მითი ზის  
რის ჩატებანურება მაღიან უნდოდათ.

თაგვებს მოხერხება არ აკლიათ და აი რა ჰქენეს:  
ერთი იმათგანი ბოთლზე შეხტა და კუდი ბოთლში ჩაჭუ-  
კიდა, როდესაც კუდი გაიუღვინთა და მოლბა ბოთლიდან  
ამოიღო და ეკელა თაგვებმა, რომელნიც იქვე დასკუ-  
პებულნი ელოდნენ — მივარდნენ და დაუწეს კუდს ლო-  
ბბს.

ასე თურმე ერთი რომ დაიდლებოდა, მერე მეო-  
რე ჩაჭეოვდა ბუდს და უსათუოდ მალე სულ დააცა-  
ლიერებდენ ბოთლს, რომ ერთხელ მოსამსახურე ქალს  
არ მოესწორო იმათოვის, ცოცხით რ გამოსდგომოდა  
და რამდენიმე კიდეც არ მოეკლა.



## გევეკასი და მელის ამბავი.



ეთ და არა იყორა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იუთ ერთი გლეხი კაცი, ჰუვანდა ერთი ბატქნიანი ცხვარი, ერთი ძროსა, ორი წარი, ღორი ოთხი გოჭით, ქათამი, ბატიდანდოური.

რადგან ცხვარსაცა სწელავდნენ, ამიტომ იმათ გაუს, თედუას, ცხვარიც ძროსასთანა და ხარებთან ერთად ტექში მიჰევავდა სამოვარზედ. ბეჭედის კი შინ უშებდა. ამ ღროს ბეჭედი მოწეუნით იუთ ხოლმე და მთელი დღე სულ გზაზედ უშირა თვალი,—ან ახლა მოვა დედა ჩემი და ან ახლაო, როცა მომიოდა, ქათამ-ინდოურებისკან გაქალილ ბალასს სწირქნიდა და ამით კარგა სქელი დუმა გაიკეთა.

ტეს ამათ ახლო იუთ. ამ ტექში ცხოვრობდა: თაგვი, კურდღელი და მელია. თედუას ამათი სულაც არ ემინოდა, პირიქით საზარც შესვებოდნენ, ისინი გარბოდნენ ხოლმე, თუმცა თედუა იმათ არას ერჩოდა. მგელი კი ათასში ერთხელ ფეხად გაივლიდა ტექშედ, მაშინაც მაღლების უფა და მემროსების კი ვიღი ასტედებოდა ხოლმე და ამას შემდეგ, ორ-სამ კვირას, აღარ გამოხნდებოდა.

## ბეჭისი და მელის ამბავი

ერთხელ, ოცდა თერჯის საქანელს ტუქში ამოვებდა, მაგა ესნასა მკიდა და ღერა. რძესა სდღვებავდა, ბეჭის მოსწეინდა მარტოკა უოფნა, ეხოდას ვამოვიდა და სოფლის გარეთ გასწია. ამოდენა თავისუფლი, ფარიელი, ადგილები მალიან მოქმონა, მორიდან ტუქც დაინასა, შავად რომ გამოიურებოდა, მეტის სიამოვნებით ჟეხტა, ჟეიკუნტრუმა და სტუნაობით გასწია იქითკენ. თუმცა ღერა ეტეოდა სოლმე, უწემოდ არსად წახვიდეო, მაგრამ სულ დაავიწევდა და დის სიტყვები. მერე რა კარგი იუო ტუქში! რა გრილოდა! რა ნორჩი და გაუქელავი ბალასი იუო ამოსული. ეველაფერს ათვალიერებდა და სინჯავდა. თუმცა მომეტებულად თხილი, ნაკაფი რცხილა, მუხა და კუნელი იდგა, მაგრამ ალაგ-ალაგ ბებერი, დახავსებული, მუხისა და რცხილის კუნძები ბუასავით გამოიურებოდნენ და ბებმებს გულს უწეოქავდნენ.

ბეჭის რაღაც ფაჩი-ფუჩი შემოუსმა, სმელ ფოთულებს რაღაც აბრუნებდა და რძირიალებდა. ბეჭის ურუები ცქვიტა. თავვი თურმე საზღოს ემებდა და ის აფხუნებდა. ბეჭის ვერც კი შენიშნა. თავმა მუმაობას თავი დაანება და ბებმებს ეჭის თვალით შესედა, მერე იცნო, რომ თერჯის ბატკანი იუო და გაგულადებულმა სალამი მისცა:

- გამარჯვება, ბეჭის! მიესალმა თავვი.
- გაგიმარჯოს, თავუნავ! უპასუხა ამაუად ბეჭის.

— აქ რა გინდა, ბეჭედავ, ამ დაბურულ ტექში? ერთიც ვნახოთ ან მეღა შეგხვდა, ან მგელი? ხომ შეგვაძეს.

— თუ მაგრე საძიშვია ტექ, მენ რაღას აკეთებ აქ, თაგუნავ? მაგრე პატარა ხარ და გზარომ დაკარგო, სანამ სოფელში მოხვალ? მერე რაღა გეძველება?

თაგუნას გაეცინა.—მე სოფელში რა მესაქმბა, ტექშიაც კარგათა ვარ ჩემთვის, თხილსა და რკოს ვაგროვებ, ჲამთრისთვის სოროში ვინახავ, როცა დაზამთრდება, შევძვრები, ვზიგარ თბილად და ვაკნატუნებ გემრიელ თსილებს...

— მაშ ვიღაც მელიაა, ან მგელი, არ გეშინიან იმათი? ჴკითხა ცოტა მგლის სახელის გაგონებაზედ აკან კალებულმა ბეჭედა, —რომ მოვიდნენ და შეგვამონ?

— სულაც არა, ჩემი სორო ვიწროა, იქ ვერც მელრა შემოძრება და ვერც მგელი და კარში კი ზამთარში რა მესაქმბა, თუ ზაფხულში გავისარჯვე და ზამთრის საზრდო მოვაგროვე. მე მგელს ერთი ლუპაც არ ვამოუვალ, იმას შენისთანა ბატქნი უვარს, თუ შეგხვდა, მაშინვე შეგულაბავს.

— მაშ შეგვაძეს მგელი, თაგუნავ, რომ შემსვდეს?

— შეგვაძესო? ისე ჩაგაქნატუნებს სულ მეალ ტუგიანათ, რომ ერთი დაბდავლებაც ვერ მოასწრო! ბეჭედა კანკალმა აიტანა. მაინც უღური არ გაიტება:

## ბეჭედასი და მელის ამბავი

— აქ ოოგორდაც ციგა, ისევ შეავუღ ტუები სჯობია, იქ ხომ მგელი ვერ დამინახავს!

— ნუ წახვალ ტიები, ბეჭედავ, გირჩევ ისევ შინ დაბრუნდე. უძახდა წრუწუნა. მაგრამ ბეჭედა ასირებული ვინმე იუო.

გზაზედ ბეჭედამ ზოგან ბალახი მოწიწენა, ზოგან ნორჩი ფოთოლი და ხის ულორტი მოკორტნა. ამას სობაში კარგა გზა გაიარა, თითქმის შეადგებ მოადწია.

უცებ, ერთი რცხილას ქვებ, რადაც ლეგო წამოხურა, გძელი, თითო მტკაველი უურები დაცეპიტა და მსხვილი გადმოკარკლული თვალები დაბრიალა.

ბეჭედა შიშით შესტა.

— ნუ შემჟამ, მგელოო! დაიძღავლა საწეალმა ბეჭედამ. — კალავ აზარ წემოვალ მარტოქა ამ წეულ ტუები!! ლეგომ ცოტა ვაირბინა, მაგრამ რაკი ბეჭედას ბლავილი გაიგონა, შედგა და მოიხედა.

— ეს ხომ ბეჭედა უოფილა! მე რაღამ შემაშინა, უჰ, რა უბედური მშიშარა ვარ! სოქება კურდღელმა.

— ნუ გეშინაან, ბეჭედავ, მე კურდღელი ვარ, მგელი ათი ჩემოტოლა. კბილები ცეცხლივით უკალავს და ხანჯალივით მჭრელი აქვს. ჩემი ნუ გეშინაან, მე არაფერს გერჩი.

ახლა და მოვიდა ვონს ბეჭედა, ცოტა გული დაიმშეიდა და კანკალმა უკლო. ოოცა გული დაიმშეიდა (კურდღელზედ ცუდი არა გაეგონა-რა და აბა რათ შეგინდებოდა?) კურდღელს ჰერთხა:

— მაშ შენა ხარ კურდღელი? გაზაფხულზედ რომ  
ჯეჭილს სძოვ, კაცს კომბოსტოს უჭამ და ნამუენებს  
უხრავ?

— დიახ! მე გახლავარ კურდღელი, მაგრამ მე  
სულ ამ ტექში ვცხოვრობ, მე აქ არც ნამუენებს გხრავ  
და არც კომბოსტოსა გვიამ, ისინი მინდვრის კურდ-  
ღლებია, მე ტექში ისეც თავზედ საურელი საზრდო  
მაქვს, ზაფხულში ნედღ, მწვანე ბალას ვძოვ, ზამ-  
თარში ხმელ ბალას და დაპნეულ თავას ვჰოულობ  
და თუ გაჭირდება, ხეების ნეკერსაც გიახლები.

— აქ რა ვინდა, ბეკებავ, ამ უღრან ტექში? ერ-  
თიც ვნახოთ, ან მგელი შეგხვდა საღმე, ან მელია,  
ისიც დიდი ამოსავარდნელია, მე იმისი უფრო მემ-  
ნიან ხოდმე, არც მენ შეგებულია, თუ კი შეგხვდა.

მგლის ხსენებაზედ ბეკებას სულ თასთახი დაწ-  
უბინა შიშით, მაგრამ კურდღელთან თავი არ შეირ-  
ცხვინა და გულადად უთხრა:

— მე მგლისა სულაც არ მემინიან, სთქვა ტრა-  
ბახით ბეკებამ, — დაიკარგოს აქედანა, ჩვენ ჰატრონს  
ისეთი კომბალი აქვს რომა! ის ვიღაც მელია არის,  
ის რაღა ნადირია? დიდი თუ ჸატარა? სადა სცხოვ-  
რობს? აქ ხომ არსადა წევს გზაზედ?

— არ ვიცი, სთქვა კურდღელმა. — მენ მალიან  
გულადი ვოფილხარ, მაგრამ მე კი მალიან მემინი-  
ან იმბთი. თუ მმინარეს არ მომასწრეს, ისე კი ად-  
ვილად ვერ დამეწევიან, ისეთი გაჭრებზ ვიცი. მაგრამ

დამე ფუნდუსით გიღალები და დღე მაგრა მძინავს ხოლო მე; მაშინ თუ დამატები, მორჩა, ვეღარავინ მიხსნის!

— მე სულაც არ დავიძინებ, სთქვა თავმომწონედ ბეჭედი,—აქ ხომ საძილოდ არ წამოვსულვარ; უნდა ტეს გნახო, ვიკუნტორუმო, ვისტუნო, იქნება და დახმაც შევხვდე და სავსე ჯიქანი ვამოვწოვო, თორებ სახლში სულ ცოტას მარგუნებენ ხოლმე, მომეტებულს სწველიან.

— წადი შინ, ბეჭედი, უთხოა კურდღელმა.—თუ გზა არ იცი, მე მიგაცილებ. შენ ისეთი დუბა გაბია, რომ უყელა სელს წამოვგარანს და არც გაქცევა იცი რიგიანი, მაგ გოგრასავით დუმით სად გამქევი?

ბეჭედი შეფიქრიანდა, მაგრამ არ უნდოდა, კურდღელს ეთქვა, რომ შეეძინდათ და ამიტომ გულადად სთქვა.

— ტეს სძირია, კურდღელო, და დაბურული. აქ ვინ დამინახავს. ისე შევძორები, რომ, მკონი, კვალსაც კერძვინ მოაგნოს. თუ სოფელში ჩახვიდე, ჩვენებს მწვიე.

— დიახ! თუ არ დავიძლია, იქ წავალ! სთქვა კურდღელმა.—შენ იქნება არ იცი, რომ მაღლი მგლის მძაა?!

ბეჭედი არც კურდღელის დარიგება გაიგონა და ისევ გზას გაუდგა. მოდის ბეჭედი, ჩლიქებით აბაკუნებს, უურებს აბარტუნებს, ღუმას ათამაძებს. აქეთი იქით სიფთხილით იხედება და ათვალიერებს.

ფრინველები ზოგი ჭივის, ზოგი იძახის და გალობს, სექტედ მოუსვენრად დახტიან, ფოთლებში ქექულაობენ.

— ოჟ! რა მხიარულობაა ტექმი! სთქვა ბეკეკაძ.

— ვველანი რა ტკბილად და უდარდელად ცხოვარობენ! აյ ხომ რმეს არავინ მოუწველავს. დედის და შვილს მმიერს არ გაუშვებს! მოდის და ფიქრობს:

„ნეტა ი კურდღელი მაინც წამოსულიერ ჩემთან! მართალია, არ მემინიან, მაგრამ ამხანავი კიდე სხვა რამება, გზა მაინც ეცოდინებოდა. ნეტა ი თედუას მაინც სადა ჰეზვს საქონელი, რომ აქამდი ვერ მევნედი. დედა მაინც მენახა! უჟ, რა გარგია, რა საამურია დედასთან. უოფხე! აღარც გმინიან, და არც ფიქრი გაქვს რისამე. დედის წინ ხტი და კუნტრუმობ. ხან ბალახს ეცილები და პირიდან ბალახის ლუკმას არათმევ ჰაწაწა ტუჩებით, მერე ჯიქანში მეუეოვ ცხვირს, მუძუს სწოვ, მირს ეწვევი, არც იღეჭება და არც იგლიჯება ი დალოცვილი! თან სჩურვი და ცხვირით ატეობინებ, ხამოუეარე რმე, გენანება შენი შვილისათვის, თუ რა არის?!“

— ვენაცვალე დედახემს! ოჟ! რა გარგი ხარ, ჩემო დედილო!

გარგა ხანი გავიდა, მზე დაეწვერა. ხეების ჩრდილები რაღაც უზარმაზარი გახდნენ, ხელები გაფარხნეს და დედამიწაზედ გველემაპებივით დაწვნენ.

ბებქას წეალი მოსწურდა, ული გაუმრა, გული

ებნიდებოდა. ახლო-მახლო ცვალი წეალი არსადა სჩანდა. არც ხევი, არც წეარო, უბრალო ძღვრიე გუბჟც კი არსად იდგა. სულ მხეს ამოემრო და ჩიტებს დაელიათ. შიგ ებანავნათ და ნიმნად თითო ფრთა გაემვათ. ბეჭმება ცოტა შეფიქრიანდა.

— ახლა რა ვქნა, რომ ვერც წეალი ვიპოვო და პერც დედას შევხვდე, ხომ წეურვილმა დამაფრხო. მოაგონდა, რომ დამდებოდა კიდეც.

— ვაიმე, რა საძინელია ბნელი დამე! როგორ ცეცხლივით ოვალებს აბრიალებს ბეჭლი და კბილებით აკვესებს! ვაიმე, შემჭამს ის სისხლის მსმელი!

— არ სადა სარ, დედა-ჩემო! დაუძახო მაინც, იქნება აქ ახლო-მახლო იუოს სადმე. და ბეჭმებმ საბრძლო ხმით იწეო ბლავილი და დედას ძახილი, მაგრამ დედა არსად სჩანდა, დამე კი თანდათან ეფარებოდა დედამიწას.

ამ ღრის ბეჭმებს ტკბილი სალამურის ხმა მოესმა. ბეჭმება სისარულით შეხტა. ეს სალამური ხომ თეღუასი იუო! სხვისი სალამური ასე აბა რას დაუკრავდა? ისე უსტვენდა, ისე არაკრაკებდა, რომ ბეჭმებს გულმა რწევილივით ხტუნება დაუწეო. სალამური კი უფრო და უფრო უკრავდა, ბეჭმებ იუაუვებოდა და ჩლიქებზედ დგებოდა, უნდოდა დაენახა, სად იჯდა ასე მოფარებით თეღუა, ან დედა სად იუო? ბეჭმება უფრო წინ წავიდა, თან ბლაოდა, ეგები იმათ მაინც დამინახონო. დედა მაინც არსადა სჩანდა. სალამური

გო უკრავდა და უკრავდა. ბებქას ტირილი მოერია,



მაგრამ ამ დროს მოესმა საამური სიმღერა, — სადა-  
მურზედ ვიდაც დაღუღუნებდა:

„პატარა კაჭრუმელაო,  
 თეთრო და კარგუნელაო,  
 აქა ვარ, შენი მმობილი,  
 შემოჭერ ნელა-ნელაო.  
 ე მშვენიერი ქათიბი,

ନେତ୍ରା, କିନ୍ତୁ ଶୈଖିକ୍ଷଣିକା?  
 ମୃତ୍ୟୁର ମାର୍ଗବଲ୍ଲିନ୍ତିରେ ଥିଲା  
 ଯେତ୍ରାହାର ରୂପ ମୃତ୍ୟୁର?  
 ନେ ଗ୍ରହିନୀରେ, ଦେଖିବ,  
 ଶୁଣିବାର କିମ୍ବା, ଶେଖିବ,  
 ଅମ୍ବାଜିତ,  
 ରୂପବାର କିମ୍ବା, „ରୂପବାର“.  
 ବେଶରେ ଲୋକରେ ଗାୟମାରିବା,  
 କେବେଳ ରୂପବାର କିମ୍ବା, ଶେଖିବ.  
 ନେ ଗ୍ରହିନୀରେ, ଏକା ଶାର,  
 ଶେଖିବ ମମବିଲ୍ଲିର ମୃତ୍ୟୁର!“.

19905
 ଦେଖିବାର ବେଶବାର ରୂପବାର, ରାମ ଜୀବିତ ରୂପବାର ମୃତ୍ୟୁର  
 କୁନ୍ତଳରେ ବ୍ରାହ୍ମିକାଶିଶୁଲ୍ଲିଙ୍ଗ ଜୀବିତର ଶେଖିବାର ମୃତ୍ୟୁର  
 ବ୍ୟାକିରଣ, ଉତ୍ତରାହୀନର କୁନ୍ତଳ କୁନ୍ତଳ ବ୍ୟାକିରଣ, ବ୍ରାହ୍ମିକାଶିଶୁଲ୍ଲିଙ୍ଗ  
 କୁନ୍ତଳରେ କୁନ୍ତଳ ରୂପବାର ରୂପବାର ରୂପବାର ରୂପବାର,  
 କୁନ୍ତଳରେ କୁନ୍ତଳ ରୂପବାର ରୂପବାର ରୂପବାର ରୂପବାର.

19905
 ବ୍ରାହ୍ମିକାଶିଶୁଲ୍ଲିଙ୍ଗ କୁନ୍ତଳରେ କୁନ୍ତଳରେ ମୃତ୍ୟୁରିବ.—ଏହା,  
 କୁନ୍ତଳରେ କୁନ୍ତଳରେ,—ମୃତ୍ୟୁରି ବ୍ରାହ୍ମିକାଶିଶୁଲ୍ଲିଙ୍ଗ କୁନ୍ତଳରେ,  
 କୁନ୍ତଳରେ କୁନ୍ତଳରେ କୁନ୍ତଳରେ କୁନ୍ତଳରେ କୁନ୍ତଳରେ କୁନ୍ତଳରେ,  
 କୁନ୍ତଳରେ କୁନ୍ତଳରେ କୁନ୍ତଳରେ କୁନ୍ତଳରେ କୁନ୍ତଳରେ କୁନ୍ତଳରେ,  
 କୁନ୍ତଳରେ କୁନ୍ତଳରେ କୁନ୍ତଳରେ କୁନ୍ତଳରେ କୁନ୍ତଳରେ!

ଦେଖିବାର ବ୍ରାହ୍ମିକାଶିଶୁଲ୍ଲିଙ୍ଗ କୁନ୍ତଳରେ କୁନ୍ତଳରେ ମୃତ୍ୟୁରିବ  
 ମୃତ୍ୟୁରି କୁନ୍ତଳରେ କୁନ୍ତଳରେ!

— କାମରାଜ୍ୟର ଶେଖିବ! ଶେଖିବ କାମରାଜ୍ୟର ମୃତ୍ୟୁରି? ମୃତ୍ୟୁରି  
 କାମରାଜ୍ୟର ଶେଖିବ କାମରାଜ୍ୟର କାମରାଜ୍ୟର କାମରାଜ୍ୟର କାମରାଜ୍ୟର  
 କାମରାଜ୍ୟର କାମରାଜ୍ୟର କାମରାଜ୍ୟର!

ଶେଖିବ କାମରାଜ୍ୟର  
 କାମରାଜ୍ୟର  
 କାମରାଜ୍ୟର  
 କାମରାଜ୍ୟର

ଶେଖିବ କାମରାଜ୍ୟର  
 କାମରାଜ୍ୟର  
 କାମରାଜ୍ୟର  
 କାମରାଜ୍ୟର

— გაგიძარჯოს, თეთრო კაჭიუმელო! სადა ხარ აქამდე? რამდენი ხანია აქ გელი. შენთვის ერთი ქაბი რძე მიღვია სოროში, ლამის დამჯავდეს და გადა-  
საქცევი გახდეს.

გახარებული ბატკანი ძლიგს შესცემოდა მელია  
ასა. რა ლამაზი იქო ეს მელა. არც თაგვისა ჰეგავდა  
და არც კურდღელს. თვალები და კბილები ხომ სრუ-  
ლებით არ უგვანდა მგლისას, და მგონი, კბილები  
სულაც არ უნდა ჰქონოდა, ბალასს ისე ბატკანიგით  
სწირვნიდა ალბათ?

— ჩვენი თედუას სალამური შენ ვინ მოგცა, მე-  
ლიავ, ეგ ხომ ჩვენი ბატრონის შეილისაა? დედა ჩემს  
რომ საძოვარზედ წაიუვანს, მაშინ უკრავს ხოლმე.

— მართალია, იცრუა მელიამ.— ემანდ შემხვდა და  
ეს სალამური იმან მათხოვა. ჩვენი ბეკება მოვა და  
მერე იმას გამოატანეო.

— მაშ დედა ჩემიცა ნახე, მელავ? ჰქითხა გახარე-  
ბულმა ბეკებამ.

— ვნახე მაშ! ისეთი ჯიქანი რძე ჰქონდა შენ-  
თვის შენახული, რომ!

— კარგი დედა მეავს, მელიავ, არა? ჰქითხავდა  
ბეკება.

— კარგი, კარგი! ასეთი დუმა ჰქონდა ქვაბის ტოლა.

— მაშ რძე ჰქონდა ჩემთვის შენახული, ჟა? ჰქით-  
ხა კიდევ ბებებამ.

— მაშ! მაშ! იღიმებოდა ფიერად მელია.

— მაშ არ იქნება, რომ დედა ჩემთან წამიუფანო  
 — როგორ არა, ჯერ ცოტა შეისვენე, რძე და-  
 ლი და მერე მე თვითონ გამოგვიპი, ასლა კი ჩემ  
 სოროში წავიდეთ.

გახარებული ბეგება ხუსტუსით გაჭევა წევულ მე-  
 ლასა.

სორო იქნე ახლო ჰქონდა, დიდი ხანი არ  
 მოუგვიანდათ.—შენ შინ მედი სოროში, მე აქ კარებ-  
 ძი ჩავჯდები, იქნება მოვიდეს ვინმე, უფრო ვერ და-  
 გინახვენ. მელიას უნდოდა, ცოტა შებინდებულიერ და  
 ისე დაეწეო თავისი საქმე, ემინდა, არავინ წამო-  
 მადგესო, ამიტომ ჩაჯდა კარებძი და დამღერა:

შატარა კაჭრუმელათ,  
 თეთრო და კარგუნელათ!  
 შეგზვდი და წამოგიუვანე  
 სოროსკენ ნელა ნელაო  
 დავსხედით, ლხინი გავმართეთ,  
 დავაგუგუშეთ „დელა“,  
 თაგვი, კურდღელი, დათუნა,  
 ჩვენ დაგვნატრიან უველაო,  
 ლხინი გვაქვს, კიმსიარულოთ,  
 არ დავაუენოთ ქნაო!  
 თუ ჩემზედ ვინმე ჭორები  
 გიამბო, მოგახსენაო,  
 არ დაიჯერო, ბეკერო,  
 ტეუილი არის უველაო.

ნუ გეშინიან, აქა ვარ  
 მენი ერთგული მელაო,  
 ვანა უბრალო ვინმე ვარ,  
 მელა ვარ კუდაგმელაო.

— უნდა ითამაშო, ბეჭე ო, ქეიფს ნუ წამიხდენ, მა-  
 მა ნუ წაგიწუდება! ეუბნებოდა გახარებული მელია.  
 თან გულმი ფიქრობდა: ეს რა მსუქანი და გემრიუ-  
 ლი ლუკმა მომცა ღმერთმა, ერთ კვირასაც ვერ შევ-  
 ჭამო.

ბეჭეპაც მხიარულათ იურ, მაგრამ წეალი მალიან  
 სწუროდა, რა ეთამაშებოდა, წეურვილით უელი ამო-  
 სრანწული ჰქონდა.

მაგრამ რძე არსად სჩანდა, არც აპირობდა მელია  
 რძის მოტანას.

— წეალი მწურიან, მმობილო; სადა გაქცს რძე?  
 მაგრამ მელიამ ეური მოიურუა, ვითომ არ ექმოდა.  
 სილამური გვერდზედ გადააგდო, თვითონ სოროს კა-  
 რებში ჩადგა.

— აბა, ბეჭეპო, მე რომ არ შეგხვედროდი, ხომ  
 მგელი შეგვაძიდ! მერე რამოგოლაა ის კერანი! სწო-  
 რეთ ხარის ტოლაა. როცა გავაკერებულია, აგერ ამ  
 დიდრონ ხეებს მარიანად გლევავს და შუა-შუა ჩურ-  
 ხსელასავით ჰკვნეტავს. აბა, ჩემი მაღლობელი უნდა  
 იყო, თორემ ისე გადაგულბრძედა, როვთოც შენ ეხ-  
 ლა ერთი ელუნტი რძე გადაელაპო. მერე გინდ მუ-  
 ცელმი ის უავლე, რაღას მოეწევი. ის რომ უგის და

ღრიალებს, ხეებიც კა კანკალს იწეობენ ხოლმე! ასე აზვიადებდა მგელს მელია, უნდოდა უფრო დაქმინა ბეჭედი.

ბეჭედის შიშით რმე სულ დაავიწედა.

— მერე რომ აქაც მოვიდეს, რა გვემველება, ჴვითხავდა თახთხით მელიასა.

— ჩემი შიშით იმას აქ რა მოივანს, უპასუხა ემძაჭმა მელიამ. მაგრამ როცა მე გვერდზედ არ გვ ეოლები, მამინ რა გვემველება, მე საწეალო? უჰ, მალიან მეცოდები, რომ იცოდე!

— სოფელშიაც მოვა მგელი, მელიავ?

— მოვა მაშ! ისე გადმოხტება ფარესში, ფეხიც არ დააკაროს ღიაბესა.

ბეჭედი მთელი ტანით კანკალებდა.

— მაშ რა ვენა? როგორ გადავოჩე იმის კბილებსა?

— აი ბეჭედი, ერთი რამე გაქვს, რისთვისაც მაგრე გმტერება მგელი. ის რომ არა გქონდეს, მერე სადაც გინდა, იარე, ვინ გაგრემს ხმასა. აი ეგ შენი რგვალი დუმაა შენი დამღუპელი, ეგ რომ არა გქონდეს, მამინ ვის რად უნდისარ? სირბილშიაც მალიან გიშლის, იცოდე. დუმა რომ არა გქონდეს, კერც მგელი დაგეწევა და ვერც არავინა.

— მაშ რა ვენა? მასწავლე, გენაცვალე, ვინ მომამორებს ამ წეულს, ჩემ დამღუპელ დუმასა?! ეხვეწებოდა ბეჭედი.

მელა უოუმანობდა. ვითომ მალიან ემმიმებოდა.

— რა ვქნა, თუმცა მალიან მეზარება, მაგრამ რა მეტი ღონება, როცა ჩემი მმობილი ხარ, რას იქ, ეს კია, შირველად მალიან გმტკინება, მენ ბდავილი არ დაიწეო. ექ მგელი არსად იუოს, არ მოვიდეს, თორ რემ შენც შეგწამს და მეცა. მართალია გმტკინება, მაგრამ მალე გაგივლის, მოგირჩება და მერე ნახე რა ბიჭი იქნები!

— ოდონდ მომაშორე ეს ჩემი დამდუბულები დუმა და რაც გინდა დამავალე. ესვეწებოდა ბეჭება.

მელია ვითომდა უოუმანობდა, მაგრამ ბეჭებამ იმდენი ესვეწა, რომ ბოლოს მელია შეუდგა დუმის მომორებას.

— აბა მაშ ჰქვიანად იუავ და არ იუკირო, ბეჭება! და მელიამ ერთი ბარაქიანი ლუკმა გამოაგლია კა კბილით დუმიდგან ბეჭებასა და სელად გადაულაპა. — იქ! რა გამორიელია! სოქვა გუნებაში მელიამ.

ბეჭებამ ერთი ისეთი დაიბდგვლა, რომ გადმა ტურმაც კი მისცა ბანი... მელიამ კიდევ დააპირა, მაგრამ...

ცოტა უკან დავბრუნდეთ.

თედომ ცოტა ადრე მორეკა სახლში საქონელი. ეველა დააბიჩავა, მაგრამ ნახა, რომ ბატკანი აღარსად არის. აქეთ ეცა, იქით ეცა, მეზობლებსა ჰყით.

სა, მაგრამ არავინ არა იცოდაზრა, საით წავიდა, ფამ ჩაულაპა თუ დედამიწამ.

თედო მაშინვე ტუმს ეცა. ეხეარებოდა, სანამ და ბინდებოდა, სანამდის თუ იპოვიდა, თორებ მერე, ბნელაში, რაღა იქნებოდა. პირდაპირ ბექებას კვალს დაადგა, იარა და შემოხვდა თაგვეს. საჭმეს მორჩენო და მინ აპირებდა წასკლას.

— გამარჯვება, წრუწუნავ!

— გაგიმარჯოს!

— დიდი სანია აქა მუშაობ?

— დილას აქეთია.

— მაშ ამაზედ ჩემს ბეჭმებას ხომ არ გამოუვლია?

დაგებრიბ.

— როგორ არა, ამაზედ გაიარა, კუშალე, მაგრამ არ დაიძალა. გაიარე, კურდღელს შეხვდები და ის გმტევის.

იარა თედომ, იარა და შემოუერა კურდღელს.

— გამარჯვება, კურდღელო!

— გაგიმარჯოს, თედო!

— ასე ბექებას ხომ არ გაუგლია? დილას თაგვს უნახია, და ასე მითხრა, კურდღელს უცოდინება, ის გმტევისო. თუ გაიარა, მითხარ, კენაცვე!

— როგორ არა, შეადღე გადაწეული იქნებოდა, როცა ასე გაიარა ვთხოვე ჩემთან დარჩენა, მაგრამ არ იქადო. გასწი ჩეარა, აიქ, ხევის ახლო ბექმი მე-

ლიას სორო აქვს და თუ მიაგნო, ხომ იცი, შეუჭ  
მელს არ გაუშვებს.

თედომ იარა, იარა და მივიდა, სადაც მელიას  
სორო იყო. ამ დროს ბატქის გულისაკლავი ბლავი-  
ლიც შემოეხმა.

— ის წევული მელია ნამდვილად ჩემს ბეჭედასა  
სჭამსო, იფიქრი თედომ, მოიმარჯვა კომბალი და  
მელიას სოროსთან გადახტა.

ამ დროს მელიასაც შემოეხმა თედუას უენის ხმა,  
სოროდგან გაჩქარებით გამოვარდა, ცხვირი ისევ სის-  
ხლიანი ჰქონდა, მაგრამ ამ დროს თედომ სიგ ქეჩო-  
მი ერთი კომბალი სდოუხა და უირაზედ გადაატარა.

— კიდევ შესჭამ, შე წევულო შენა, ჩემს ბეჭედა-  
სა!? გამოუღვა დარეტიანებულ მელიასა და სანამ ის  
გონის მოვიდოდა, ერთი თუ ორი ჭურგში.

ცოცხალ-მკვდარმა მელიამ რის გაიგავლანით თა-  
ვი დააზრია. ბეჭედაც დაავიწევდა და იმისი დუმაცა.  
წამოიუვნა თედომ თავისი დაგლეჯილი ბეჭედა, თან  
მელიას სალამურიც წამოიღო, უწამდნა, მოუარა, და-  
გლეჯილი დუმბ დაუდიდა და როგორც იყო. ძალა-  
ჩინა.

ბეჭედაც დიდი ერკებულია. მხოლოდ რა  
ში უპატრონოდ აღარ დაიარება და ადარც დუმბ  
მოაჭრეონებს ვისმე.

ასე გათავდა მელიასა და ბეჭედას ამბავი.

ჭირი იქა, ლხინი აქა,

ქართ იქა, ფეხილი აქა.  
მთას ურემი ავაგორე,  
წამოვიდა გორებითა,  
აქ სიცოცხლით გამიშედით,  
საიქიოს ცხონებითა.  
ჩიტი გაფინდა ცხრა თვალი,  
ასი ტყეუილი, ერთი მძრთალი.

თ. საჩილებ



## საგვირველი ჭიები.



შემტარა ელო დედით ცხოვ-  
რობდა ქსლაქში. სახლის წინ  
ჭრონდათ ბაღი, სადაც მოჟა-  
ვივიდათ მრავალი სხვა და სხვა გვავილი  
და ხილი: ვაშლი, მსხალი, ბალი, ოუთა  
და ხართუთა.

უველაზედ მეტა ელოს ხართუთა  
უკვარდა, დედა ხმირათ უჯავრდებოდა: კაბას და წინ-  
საფარს ნუ იყუშევო, მაგრამ ელო ვერა სომობდა  
ტებილ თუთას, თუმცა ლამაზი კაბის ჩაცმაც მალიან  
უხაროდა ხოლმე.

მეტადრე თავისი ახალი შლიაბა მორთული გარ-  
დის ფერი ლენტებით მალიან მოსწონდა.

— ნეტა ვიცოდე, ეს მშვენიერი ლენტები საიდამ  
მოაქვთ, ან ვინ აკეთებსთ, ჰქითხა ერთხელ ელომ  
დედას.

— ლენტებს, ჩამო პატარავ, ქსოვენ აბრეჭუმის  
მაფიდან, მაფს კი აკეთებს აბრეჭუმის ჭია.

ელოს სიცილათ არ ეუთ დედის ხათქვამი, და  
იფიქრა: ალბათ მატუუებს, რომ თავიდან მომიშორო-  
სო და გაიქცა თავის დედოვლებთან სათამაშოთ.

დედას უნდოდა ამ შემთხვევით ესარგებლა და აქა სხა ელოსთვის აბრეშუმის ჭიის ამბავი. ერთ-მშენერ გაზაფხულის დიღას, როცა ელო მიეშურებოდა თავის ბაღში, დედამ მისცა ქაღალდში რაღაც გასვეული.

ელომ რომ დახედა, ფიცხლავ უთხრა დედას:

— ეგ ხომ საშხაშის თესლია, რათ გინდა?

— აბა, კარგა დააკვირდი, იქნება სხვა რამე გამოდგეს.

მართლაც ელომ, როდესაც კარგა დაათვალიერა, — დარწმუნდა, რომ ეს მარცვლები უფრო მოგრძო იუო და შუაშუა ჩაჟღეული.

— ეს კვერცხებია, ჩემო ელო.

— რა არის, დედა, მენ სულ მესუმრები. მე უველა ფრინველის კვერცხი მინახავს, და მაგეთი კი არსად.

— ეგ იმიტომ, რომ შენ მარტო ფრინვლის კვერცხი გინახავს და არა შეპელასი.

— მერე რას გამოჩეკავს?

— აი ცოტა დაიცხდე, და შენ თითონ ნახავ. ეხლა წამო ფანჯარაზე გავშალოთ ეს ქაღალდი, რომ მზემ თესლები კარგა დაათბოს.

ფანჯარაზე გაშალეს ქაღალდი, ელომ ერთი კი დევ დახედა ამ უცნაურ კვერცხებს და ჩაირბინა ბაღში სათამაშოთ. ამ მშენერმა გაზაფხულის დღემ ისე გაიტაცა ელო, რომ ვიდორე არ მოშიგდა, სახლში არ დაბრუნებულა.

სანამ საუზეს მოუტანდენ გაიქცა კვერცხების დასახედათ. ისინი ისევ ისე ელაგა ქაღალდზე; მეორე დღესაც ელომ, გაუთენებლივ, შეირბინა კვერცხების დასათვალი იერებლათ. ესლა კი მათში მართლაც რა-დაც ცვლილება მომხდარი იყო: ქა-ღალდზე დაცოცავდენ პატარ-პატარა ბალნიანი ჭიები. იქვე ეწარა ნაჭუჭი, რომლიდანაც გამომძვრალი იყო, ზოგი კვერცხი კი ჯერ ისევ სელ-უხლებელი იყო, ზოგს ჭიას კიდებ გვერდზე გაეხვრიტა ნაჭუჭი და ის იურ იბადებოდა. ელო გახარებული გაიქცა დედასთან.

— დედა, მოდი ჩქარა ნახე კვერცხებიდან რა გამოჩე-კილა. მე კი მეგონა რომ პეტელები გამოფრინდებოდენ.

— ჯერ მოიცა, ჩემო პატარავ, პეტელებ იქნება. შენ, აბა გაიქც ბაღში, თუთის ფოთოლი ამოარბე-ვინა, ხომ სცნობ თუთის ფოთოლს?

— კცნობ, დედა, კცნობ, მერე რათ ვინდა?

— ეხლავ გაიგებ, აბა ჩქარა, ჯერ ჩაიც არ და-გილევია, აქამდის მმიერი ხარ.

ელომ საჩქაროთ ამოარბევინა ფოთოლი; დაუ-ლაგეს თუ არა, ჭიებმა იგრძნეს სუნით, აცოცდნენ ფოთოლზე და ხარბად დაცწევეს ჭამა.

— ამათ, უოველ დღე, ახალი ფოთოლები უნდა მოუტანო ხოლმე, ჩემო ელო, ხომ არ დაივიწებ?

— მე ისე შემიუვარდა ჩემი ჭიები, რომ არას-დოოს არ მოვამშევ.

მართლაც, ჩვენი ელო არ ივიწევებდა თავის მო-  
 გალეობას და პირველ ხანს გადამეტებითაც უზიდავ-  
 და თუთის ფოთოლს. საცდელათ სხვა ფოთოლიც  
 მოუტანა, მაგრამ ჭიები თუთის მეტს არას ეკარებო-  
 დენ.

მეტათ კარგათ უვლიდა ელო თავის პატარა ჭი-  
 ებს. დედა ამ ჭიებს მარტენს ეძახოდა.

ელოს გაზაფხულზედ ისეთაც ბევრი საქმი ჰქონ-  
 და: ბაღში უნდა გასკეთებინა ეპვილების კვლე-  
 ბი, მერე მთელი ზამთარი დედოფლები სასეიროთ არ  
 უტარებდა და ეხლა ესენიც უნდა ჰაერზე გამოესეირ-  
 ნებინა. ეგელა ამ საქმესთან თავისი პატია ჭიუ-  
 ბიც არ ავიწევდებოდა.

ელოს ესმოდა, რომ თუ ფოთოლს მოაკლებდა,  
 საწელი პატია ჭიები შიმშილით დაისოცებოდენ.

ჭიებიც, ამ პატარა მზრუნველის ხელმი, მალე  
 იზრდებოდენ, ფერითაც იცვლებოდენ. ჯერ იუკენ შა-  
 გები, მერე გაწაბლისფერდენ და მერე თანდათან გამ-  
 წანდენ. ექვსი დღის შემდეგ, ელო რომ მივიდა თა-  
 ვის ჭიებთან ფოთლის გამოსაცვლელად, მრიელ შე-  
 მინდა. ჭიები თავაზწეული გარინდული იუკენ და არ-  
 ცა სჭამდენ. ელო ტირილით გაიქცა დედასთან.

— იცი დედა, ჩემი ჭიები სულ დასოცილან, მე  
 კი ისე კარგა უვლიდი, საჭმელი არც ერთხელ არ  
 მოძიკლია.

— მენ ნუ გმინიან, ჩემო კარგო, ებენი ცოცა

ხლები არიან, მსოლოთ ჰაფარა ხანს მიუძინიათ.

— მერე რათა? აქამდის რატო არ იძინებდენ?

— ჭიებმა ეპრე იციან, აյნ ხომ გახსოვს როგორი ჰატარები იუვენ, ეხლა დამსხვილდენ, ტუვი შეუვიწროვდათ, მანამდის სძინავთ — შიგნით იკეთებენ ახალ ტუავს, მერე ზევითას გადიმრობენ და დარჩებიან ახალ ტუავში. მართლაც, იმავე დღეს, ზევითი ტუავი დაუსკდათ და გამომვრენ ახალი ტუავით. ერთი საათის შემდეგ ჭამაც დაიწევეს. რამდენიც ხანი გადიოდა ჭიები თანდათან იზრდებოდენ, ჭამასაც წინანდებულზე უმატეს, და განაცრისფერდენ. ბალანიც თითქმის აღარ ეტეობოდათ.

ხუთი დღის შემდეგ კიდევ დაიძინეს, მავრამ ყლოს აღარ შემინებია. იცოდა რომ ასე უნდა უოფილიერ შემდეგ, კიდევ ორჯელ, იცვლეს ფერი. უკანასკნელათ სრულებით გათეთრდენ და ისე დამსხვილდენ, რომ ადგილათ შეიძლებოდა მათი კარგათ დათვალიერება.

ანიკოსი.

(დასასრული იქნება).





### ა ნ დ ა ზ მ ბ ი.

წუნიას აკლდებოდესო

მწიფე მსხალი ღორისაო

საერო ყანა წერომ მოჭამაო.

### ჩჩარა განოსათშველი.

(წარმოდგ. კ. სენიაშვილის მიერ).

ჭრილი ჭირთან მეჭრებოდა,

ჭრელი მეჭირ-მჭრელებოდა..

### გამოცანია.

თავ-შიშველი, ტან-შიშველი,  
სახელს გეტყვი, ვერ მიხვდები.

ერთი რამე ვნახე,  
ეშმაკისა სახე,  
მალლა-მადლა დაფრინავდა,  
ძირს დაუგე მახე,  
წვრილი ჩიტი გაბმულიყო,  
ჩემი თვალით ვნახე.

ატნი ტოშარა, შატნი ტოშარა  
სახელს ქე გეტყვი, გვარს მიტომ არა.

### გასართობი.

(ფრანგულით).

— დედი, ერთი ნატეხი შაქარი კიდევ მომეცი ჩაისთვის.  
შენ რომ ნატეხი მომეცი, ჩამივარდა.

— აპა, შვილო, წაიღე. მერე ის ნატეხი სად ჩაგივარდა?  
— ჩაიში.

დედა ნიკო, ექვსს რომ სამი გამოაკლო, რამდენი დარჩება?

ნიკო. არ ვიცი.

დედა. როგორ ვერ მიხვდი? ვთქვათ, ექვსი კაკალი გაქვს, ვასომ სამი ითხოვა, რამდენი დაგრჩება?

ნიკო. ექვსი.

დედა. როგორ თუ ექვსი, ვასომ ხომ სამი ითხოვა?

ნიკო. მე რომ არ მიმიცია!

ნუკას ახველებდა და მოხარშულ უნაბის წვენს ასმევდნენ.

— მეო?... წამოიძახა კიკომ.

— შენ რაღად გინდა? განა შენც გახველებს?

— ჰო, კინალამ.

მასწავლებელი. აბა, ყმაწვილებო, ვინ მეტყვის: ხუთი და ერთი რამდენს იქმს?

კლასში ყველა გაჩუმებულა.

მასწავლებელი. ვთქვათ, ხუთი ვაშლი მოგეცით და მერე კიდე ერთი. სულ რამდენი ვაშლი გექნებათ?

პატარა დათა. შვიდი, ბატონი.

მასწავლებელი. საიდან შვიდი?

პატარა დათა. იქიდან რომ ერთიც შენა გაქვს შენახული.



გამოცანებისა: ორთქლით გატარებელი (ტრამვაი)

2) პრასა, 3) ლოკოკინა, 4) სიმინდი.

ანაგრამისა: ნიკოლოზ—კანი—ნაკი.

## ღ ე ღ ა.



ანდელი ბჟუტავს, ოდნავ ანათებს  
მყუდრო ოთახს და იქ მჯდომ დედასა,—  
აკვანს რომ არწევს, ცრებლს რომ ღვრის მწარეს,—  
მას ფიქრებს უშლის, უშლის სევდასა.


დედა ლოცულობს, ის დაჩოქილი  
უფალს ავედრებს ავათმყოფ შვილსა,  
ხან კი ღიღინებს, თითქოს უმღერდეს  
აკვნის ბინაღარს ტკბილ ძილისპირსა:

,ნანა, ნანინა, ჩემო პატარავ!  
რათ აღარ გძინავს, რათ შფოთავ, შვილო?  
ნანინა, ნანა! ჩემო ბიჭიკო,  
აღარ გაგწირავს უფალი, ტკბილო!

შენს მტერს და ბოროტს შენი მფარველი  
ცაური ძალი გულს გაუგმირავს,  
ან შენს მაგივრათ, ჩემო გოგილო,  
ის მე მიმილებს, მე შემაწირავს!

გოგილო იყვეს ქვეყნად ცოცხალი—  
მტერს თუ დაუშლის ეს რამეს, განა?  
ნუ შფოთავ შვილო, იძინე ტკბილო,  
აუ, გოგილო, ნანინა-ნანა!...

სევდის ხშა სწყდება. გოგილო კვნესის,  
თითქოს მით პასუხს იძლევს დედასა,  
კანდელი ბჟუტავს და სიჩურეში  
მას გულს უღონებს, უშლის სევდასა...



# ჯიუთი თხა.

შაშინ-სიბირიკვისა

(ზღაპარი).

I

 ყო ერთი მხიარული დურგალი. მეზობლები „მხია-  
რულ დურგალს“ უძახოდენ იმიტომ, რომ მუშაო-  
ბის დროს სულ ღილინებდა და მღეროდა.

— რატომ არ იმღერებს, — შურით იძახოდნენ მე-  
ზობლები, — ყველაფერი უხვათ აქვს: საკუთარი ქოხი, ძროხა,  
ცხენი, ბოსტანი, ქათმები, თხაც კი ჰყავს.

მართლაც რომ დურგალი ყველაფრით უხვად დაჯილ-  
დოებული იყო: პატარა სუფთა ქოხი, ძროხა, ცხენი, ბოსტა-  
ნი, ქათმები და ერთი ბებერი ჯიუტი თხა.

— მაღლობა უფალს, — იძახოდა დურგალი, ყველაფერი  
უხვათ მაქვს.

შურიან მეზობლებს ძალიან სწყინდათ, რომ დურგალს  
ყველა ეს ქონება მარტო თავის შრომით ჰქონდა შეძენილი.  
დურგალი მთელი დოე სთლიდა და რანდავდა თავის ფიცრებს  
და ცოლი კი მთელ საოჯახო საქმეს უძლევდოდა: საჭმელს  
ხარშავდა, ძველსა და ახალს ჰქონდედა, ბოსტანს და საქო-  
ნელს უვლიდა, ერთი სიტყვით ესენი შეიღიობიანად და კარ-  
გად სცხოვრობდნენ. როდესაც სახლის პატრონები მაძლარნი  
ირიან, დანარჩენებსაც კმაყოფილება ეტყობათ: ცხენსაც,

შჩოხასაც... სახლის სახურავზე მტრედები მხიარულად ღუდუნებდნენ, სახურავ ქვეშ ბელურები წრიპინებდნენ, ეზოში მამალი თავისი ქათმებით ამაყად დასეირნობდა, იატაკქვეშ მცხოვრები თაგვებიც კი მაძლრები იყვნენ.

— რა უბედურება რომ თაგვები ასე გამრავლდნენ, ჩი-ოდა ხოლმე დურგლის ცოლი, — ცხენს ქერსა ჰპარავენ და ქათმებს ნამცეცებს არ არჩენენ.

— არა უშავსრა, წაიღონ, სჭამონ, — ამშვიდებდა დურგალი თავის ცოლს. — მაშ რა ჰქნან? ჯამაგირი იმათ არა აქვთ, მუშაობა არ შეუძლიათ, ჭამა კი უნდათ. თავიანთი ოჯახი და შვილები ჰყავთ. მე და შენ ხომ ვერ შეგვჭამენ. კატაც ხომ გვყავს მაგათ დასაჭერათ.

ციცუნია კი თბილიათ ბუხართან იწვა და ყურსაც არ იბერტყავდა, თითქოს ეს ლაპარაკი იმას არ ეხებაო. საზოგადოდ ციცუნის უთავბოლო ლაპარაკი არ უყვარდა. აბა, ერთი მითხარით, თაგვების ჭერით თავს რაზედ შეიწუხებდა, როდესაც საჭმელი თავსაყრელად ჰქონდა? ხანდისხან საკუწნაოში შევიდოდა ხოლმე და იქიდამ ერთ პატარა საცოდავ თაგუნის გამოათრევდა, ჭამას რისაკვირველია რათ იკაღრებდა, ხოლო თავის დიასახლისს მიუტანდა და უჩვენებდა.

— აი, ბარაქალა, ჩემი ციცუნიავ! აქებდა ხოლმე დურგლის ცოლი და ჯამში რძეს უსხამდა.

კატა რძიო გამოძლებოდა, საღმე თბილ კუთხეში მიეძინებოდა და თაგვებს მარტო გასართობათ იჭერდა. წოლა რომ მოსწყინდებოდა, მაშინ სასეირნოთ გამოვიდოდა, ყველასთან თავი მოსწონდა, რომ ბატონებთან ერთად ოთახში ცხოვნოდა. არავის არ ეჩუბებოდა, სუსყველას მეღილურათ უურებდა. აი მაგალითად მამალი და თხა სულ ჩხუბობდნენ, ერთმანერთს უსაყვედურებდნენ, საცემრათაც მიიწევდნენ ხოლმე.

— ევ რა საკადრისია, ბუტიბუტებდა კატა... თქვენი თავის პატივისცემა არ იცით... მაგრამ, აბა, ვის ველაპარაკები, სულ ერთია, მაინც ვერაფერს გაგაგონებთ.

— გიცნობთ რა შვილიცა ხარ, შე გაიძვერა შენა, — ილანძლებოდა მამალი. — მხეხვე წოლის მეტს რას მიკეთებ?

დიდი ბატონი ბრძანდები, განა, თათების განძრევაც კი გეზა-  
რება.—აი შე ეშმაკო, შენა!

ციცუნია ხმას არც კი გასცემდა, ზიზღით შეხედავდა,  
თავის მომწვანო თვალებს დაბუუტავდა და ულვაშებს აათამა-  
შებდა.

თხა და მამალი ხშირად ჩხუბობდნენ, ტყუილ უბრალოზე  
ერთმანერთს წაეკიდებოდნენ.

— შენ, ეი, მუქთა ხორავ! უყვიროდა ხოლმე მამალი  
თხას:

— შეხედეთ, ამ მუშა მშრომელს! ჯავრობდა თხა—მთე-  
ლი დღე სულ ჰყივის, ძილს არავის არ აცლის.—შენი საქმე  
ხოლო ეგ არი!

— მე არ ვშრომობ? მაშ ჩვენს პატრონს დილით ვინ  
ალვიძებს? მე—ქათმებს ვინ უვლის, რომ სხვის ეზოში არ დაი-  
ფანტნონ? სულ მე—წიწილებს ვინ ჰდარაჯობს, რომ ძერამ  
ან ქორმა არ მოიტაცონ? მე—ყველაფერზე და ყველაზე მე  
უნდა ვიზრუნო, შენ კი მარტო ტყუილად სჭამ სხვის თივას,  
შე ბებერო, ჯიუტო თხავ!

— სხვის თივასა ვჭირ?.. აი შე ავაზაკო შენა!.. მე შენ  
ლუქმა-ლუქმათ აგკუწავ, გაგქულიტავ,— შე ბაქიავ, შენა!

თხა თან თავს ჩაღუნავდა, თვალებს დახუჭავდა და მა-  
მალს დაეტაკებოდა.

— ოჯ მომკლეს! საწვალო მამალი მოჰკლეს! ყვიროდა  
მამალი და შეშინებული თხას გაურბოდა.— მიშველეთ, გა-  
გონილა ცოცხალი მამალი მოჰკლა ამ წყეულმა თხამ!


მამალი თავის ყვირილოთ ყველას ფეხზე აყენებდა:  
შეშინვბული ქათმები კაკანებდნენ, მურია ყეფდა, ხან ერთს  
და ხან მეორეს გაეკიდებოდა, ცდილობდა თავისი ბასრი კბი-  
ლები ჩაერჭო და გაეშორებინა ერთმანერთი. დურგალი კი  
უყურებდა და გულიანად იცინოდა. ბოლოს მამალი ლობეზე  
შეფრინდებოდა, ფრთებს გაშლიდა და მხიარულით ყივოდა:

— ჩვენ გავიმარჯვეთ, ვაშა! ვაშა!— აბა, რა დამაკელი შე  
წუწკო? რა შენი საქმეა ჩემთან კინკლაობა!.. მოიცადე, მაგ

## პირი თხა

შენ სულელ თვალებს ამოგქორტნი! ჩემთან ხურობა შენ  
არ გავივა!

ჩვენი ბებერი ჯიუტი თხა ამ შემთხვევაში ძალიან ცუდ  
გუნებაზე დადგებოდა ხოლმე, ღობეს დაეტაკებოდა, უნდოდა  
წაექცია და მამალი გადმოეგდო. მაშ რა ექნა? სცხვენოდა,  
რომ მამალი მთელს უბანში ასე აუპატიურებდა მას.



— თხავ, როგორ არა გრუხვენიან, რომ მამალს აგრე  
თავს უყადრებ? იცინოდა დურგალი — შენ არ შეგშვენის  
ფრინველთან კინკლაობა, ჩემო თხავ!

— მაშ, რას იკვეხის! — იძახოდა დაღვრემილი თხა — მე იმას ვუჩვენებ ვინცა ვარ!

გაბრაზებული თხა ლობეს მოშორდებოდა, შუა ეზოში დადგებოდა, მერე იქიდან გაექანებოდა და ლობეს შუბლით დაეტაკებოდა; რქებს წკრიალი გაჰქონდა. ეს ისე სასაცილო იყო, რომ ბეღურები სახლის სახურავზე დახტოლნენ და გულიანად იცინოლნენ, მტრედები დარბაისრულად ილიმებოლნენ, ცხენი თავს აქნევდა და მამალი კი ხმა მაღლა ხითხითებდა...

— აბა, ერთი კიდევ, თხავ!.. ჰა, ჰა, ჰა! ლობე შეიბრალე, შე სულელო, ამისი რა ბრალია, რომ ეგრეთი სულელი ხარ!

— მართალია, ლობეს რას ერჩი! იცინოდა დურგილი. — შენი შუბლი არ გებრალება? — ოჲ! რა ბრაზიანი ხარ, შე ბერი ჯიუტო თხავ!

თხა ჩხუბის შემდეგ დიდხანს ვერ დაწყნარდებოდა ხოლმე. დილას რომ გაჯავრდებოდა, მთელი დღე სულ ჯავრობდა: დაწვებოდა — ჯავრობდა, ზეზე იქნებოდა — ჯავრობდა, დაეძინებოდა — ჯავრობდა, ღამე რომ გამოიღვიძებდა, კიდევ ცოტათი ჯავრობდა. რა ჰქნას, უთუოდ ასეთი ბრაზიანი დაბადებულა.

ერთხელ მამალი უნდოდა გაეჯავრებინა და იმის ერთ საუკეთესო დედალს ფეხი წაჟკრა... საშინელი ალიაქოთი ასტყალა. მამალი ბატონთან საჩივლელად წავიდა.

— როგორ შეიძლება, ბატონო, ეგ საძაგელი ხომ მთელ დედლებს დამიმახინჯებს, ჩიოდა მამალი.

— ეგ ჩემი საქმე არ არის, უპასუხა დურგალმა, — წადი დიასახლისთან, ის გაგასამართლებთ.

დიასახლისში დიდი ჯოხი აიღო და თხა კარგად მისტყება.

— კიდევ გაჭეჭყავ ქათმებს, შე ჯიუტო, სულელო შენა! თხა ღრიალით ბოსტანში შევარდა. ამის შემდეგ უფრო გადაემტერა მამალს. თხა ისეთ გუნებაზე დადგა, რომ ეზოში შემოსვლა აღარ უნდოდა, მაგრამ მურიამ როგორც იყო დამშვიდა.

— კარგი, გეყოფა მაგდენი ჯავრობა, — ეუბნებოდა მურია კუდის ქნევით. — ერთხელ მე და შენ ხელში ჩავიგდოთ მამალი და კარგათ ვცემოთ.

— ჰო, შენ რა გიშაგს, ცოტა მეტა მკითხე, გვერდები როგორა მაქვს მიბეჭილი, ბუტბუტებდა თხა.— მე ჩემ ბატონებს განა კარგათ არ ვემსახურები? რითი ვიკვებები? თივას გაღმომიგდებნ, აბა, სხვას რას მაჭმევენ? ცხენი და ძროხა რასაც დაფანტავენ, იმას ივკრებ ხოლმე, სულ ერთია, მაინც ფეხით გაქვლავენ. თუმცა მუცლის მიმდევარი არ ვარ, მაგრამ არც სხვის თივას შევჭამ.

მურია გულკეთილი იყო, თხა ძალიან ებრალებოდა და იძახდა:— აბა, საწყალი, დიასან-ლისმა რა უბრალოდ სცემა.

— იცი რა გითხრა—უთხრა მურიამ თხას,— ნუ იჯავრებ, ნუ შეიმჩნევ, ვითომ არაფრად აგდებ მის ცემას. მეც ხშირად მომხვედრია ხოლო იმისაგან ჯონები, მაგრამ ვითმებ, იმას მარტო კატა, ძროხა და ქათმები უყვარს. რას იზამ, ვერ გადააჩვევ.

— ერთხელ მეც ჩემი რქებით ვერიოლები და მაშინ ნახავს როგორც უნდა ცემა.

— არა, ეგ რა საკადრისია, მოთმინებაა საჭირო ყველა შეი-ტყობს ჩეენ ამბავს, ოჯახში რაც

უსიამოვნო  
ბა მოხდება,  
გარეთკი არ  
უნდა გავი-  
წ ანოთ.

მურია  
ძალიან ეშ-  
მა კი იყო.  
ამას უნდო-  
და რომ სახ-



ლში მშვიდობიანობა ყოფილიყო. მაშ რისი ძალლია, რომ სახლში სულ მუდამ ალიაქოთი და ჩხუბი იყოს. ხანდისხან კიდევ არა უშავს რა, მაგრამ ყოველთვინ კი არ ეპიტნავებოდა.

— როგორც იყო დავამშვიდე და შევარიგე, ეუბნებოდა მურია თავის პატრონს, —წაიჩეუბნებ და კმარა...

— შენ ჭკვიანი და ყოჩალი ხარ, — აქებდა პატრონი თავის ძალლს.

— მართალი უნდა გითხრა, თხა ძალიან გულკეთილია, მაგრამ ცოტა ჯოუტია. მეც ვეუბნები: ნუ ჯავრობ, არა ლირს, შენ თავს ავნებ.

დურგალს საღამობით ზარეთ გიმოსვლა უყვარდა. კარებ-თან ჩამოჯდებოდა და ჩიბუს ააბოლებდა. მურსა უცბათ იქვე გაჩნდებოდა, და პატრონს დაუწყებდა ალერს.

— რა ამბავია, მურია?

— არაფერი, სრული მშვიდობა! მოელი ღამეები არა მძინავს, სულ შენ სახლს ვდარაჯობ.

— მაშ, აგრე უნდა, ყოჩალ! შენ ჭკვიანი ხარ!

— რა წესი უნდა იყოს იმ ოჯახში, საცა კარგი ძალლი არ არის! მაშ, იმ მუქთა ჭამია კატის ხომ არ ვვევარ.

— კატა არ გიყერს, განა! იმის ბრჭყალები გეტყობა ას დაგვიწყებია!

მურია ზოგჯერ მსუქან კატას გამოეთამაშებოდა ხოლმე, როდესაც დიასახლისი საღმე სტუმრათ წავიდოდა, ციცუნია ძილისაგან გასიებულ ცხვირ-პირით კარში გამობრძანდებოდა. აბა, ამისთანა ჩასუქებულს, როგორ არ გამოეთამაშოს? მართალია, ციცუნიამ ორჯერ თუ სამჯერ თავისი ბრჭყალები აფეშა მურიას, მაგრამ ძალლისა მაინც ძალიან ეშინოდა. მურიას შერდა, რომ ციცუნიას სულ რეხსა და ხორცს იქმევ-დნენ და თითონ კი მარტო ძვლები და ნასუფრალი ერგებოდა.

ეკ. მ—სა.

(შემდეგი იქნება).



# საფრანგეთის სახელმწიფო

და

საზოგადოებრივი წეობილება.

წერილი მეორე.



ირველი რესპუბლიკის დროს ხალხში სარევოლოუციო მოძრაობა საშინაო გაიზარდა. გაიხსნა საფრანგეთის ყოველ კუთხეში სარევოლოუციო კლუბები. პარიზში აჯანყებულ ხალხს მეთაურობდენ რობესპიერი, მარატი და დანტონი. საცა კი მოასწრებდენ ძველი წყობილების მომხრეებს, სიკვდილითა სჯიდენ. ხალხმა ამ დროს საშინელი სისასტიკე გამოიჩინა: ის

შეუბრალებლათ უხდიდა სამაგიროს თავის ძველ ბატონებს და მათს დამქაშებს. ეროვნული კრება დაიშალა და მის ნაცვლათ შესდგა კონვენტი. კონვენტი გაიყო ორ ნაწილათ: მემარჯვენებს შეაღენებული ეირონდისტები, მემარტენებს მონტანიარები. ეირონდისტები იყვენ ბურჟუაზიის წარმომადგენლები; ისინი კმაყოფილდებოდენ უკვე არსებული რეფორმებით და ითხოვდენ რევოლუციის ჩაქრობას. მონტანიარები კი ითხოვდენ რევოლუციის გაძლიერებას და ყველა რეაქციონერების სასტიკათ დასჯას. მონტანიარების მეთაური იყვენ რობესპიერი, დანტონი და მარატი. კონვენტმა სამართლში მისცა მეფე სამშობლოს მოღალატეობისათვის; საშინაულოს წინაშე მეფემ თავი ვერ იმართლა; მეფეს სიკვდილით

დასჯა მიუსაჯეს და 21 იანვარს 1793 წელს მეფე ლუდოვიკო-  
კო მე-XVI-ს თავი მოჰკვეთეს. ეს იყო დიდებული ბარბარო-  
სობა, რომლის მზგავსი ისტორიაში ცოტაა. ბარბაროსობა  
იყო იმიტომ, რომ სიკვდილით დასჯა, ვინც უნდა ისჯებო-  
დეს, ბარბაროსობაა; დიდებული იყო მით, რომ ხალხი ასა-  
მართლებდა და სჯიდა თავის მეფეს.

ამ დროს საფრანგეთს შამოესია აესტრიია და პრუსია.  
აღფრთოვანებული ხალხი შეიკრიბა საფრანგეთის უოველი  
კუთხიდან და შესდგა ეროვნული გვარდია, რომელმაც პრუ-  
სისია და აესტრიის ჯარს კულით ქვა ასროლია. მაგრამ თეოთონ  
კონვენტში სასტიქმა ბრძოლამ იჩინა მალე თავი. უირონდის-  
ტები იცავდენ თავის პრივილეგიებს და მათი იდეალი იყო  
ბურჟუაზული წყობილება და ბურჟუაზიის ბატონობა. მონტა-  
ნიარები კი თხოულობდენ სრულ დემოკრატიულ წყობილე-  
ბას; ისინი იცავდენ მურომელი ხალხის ინტერესებს. ბრძოლა  
დღითო-დღე მწვავდებოდა და ერთ-ერთის დამარცხება აუცი-  
ლებელი იყო. მეფის სიკვდილით დასჯამ და უირონდისტები-  
სა, და მონტანიარების ბრძოლამ საფრანგეთი სამ ნაწილოთ  
გაჰყო: ერთი ნაწილი მეფეს გამოისარჩელა, მეორე უირონდის-  
ტებს; მესამე კი მონტანიარებს. იფეთქა სხვა და სხვა ალაგის  
აჯანყებამ და გაიმართა საშინელი სისხლის ლვრა. რაღაც  
მუშა ხალხი, წვრილი გლეხობა და პროლეტარიატი მონტა-  
ნიარების მხარეზე იყო, ამ უკანასკნელებმა მალე გაიმარჯვეს,  
მთელი უფლება ხელში ჩაიგდეს და უირონდისტები იძულე-  
ბული გახდენ, კონვენტისათვის თავი დაენებებიათ. ვნება აშ-  
ლილმა ხალხმა მოითხოვა მათი გასამართლება; ზოგი დაიმა-  
ლა, სხვები კი სიკვდილით დაისაჯენ. შემოლებულ იქმნა  
არაჩეულებრივი სასამართლო, რომელიც არჩევდა უველა-  
პოლიტიკურ საქმეებს. ამ სასამართლოს განაჩენი მხოლოთ ის  
გვარი იყო: ან სრული გამართლება, ან სიკვდილით დასჯა.

საკანონმდებლო და ოღმასრულებელი უფლება საფრან-  
გეთში დარჩა მონტანიარებს, რომლების ერთათ-ერთი მიზანი  
იყო რესპუბლიკის გადატენა. ისინი მუშაობდენ საშინელის  
გნერგიით რესპუბლიკის გასამაგრებლათ და მისი შინაური და

გარეული მტრების დასამარცხებლათ. ისინი მტკიცეთა და  
 პირდაპირ მიღიოდენ თავისი მიზნისაკენ და არ ერიდებოდენ.  
 არავითარ სისასტიკეს. დიდი რევოლუციის იმ ხანას, როცა  
 მონტანიარები ბატონობდენ, ეშვდება ტერრორი. ისტორია-  
 ში. ცოტაა მაგალითი იმგვარი სიმხეცისა და ბარბაროსობისა,  
 როგორიც მონტანიარების კონვენტმა ჩაიდინა. რესპუბლიკა  
 დიდ განსაცდელში იყო: შიგნით რეაქციონერები ემუქრებო-  
 დენ მას, გარედან ევროპის რეაქციონური მთავრობა. კონ-  
 ვენტის მდგომარეობა მეტათ კრიტიკული იყო და რესპუბლი-  
 კის გადასარჩენათ ის არ დაერიდა არავითარ სისასტიკეს, არა-  
 ვითარ სიმხეცეს. არათუ რეაქციონერებსა ჰკვეთდენ, თავებს.  
 ეშაფოტზე გზავნიდენ ისეთ რევოლუციონერებსაც კი, რომ-  
 ლებიც ამ მხეცური სისხლის ღვრის დროს მეტ ლმობირებას-  
 ითხოვდენ. ამ გაშმაგებული სისხლის ღვრის დროს კონვენ-  
 ტმა. შეიმუშავა ახალი კონსტიტუცია. ეს იყო 1793 წელს.  
 ახალი კონსტიტუცია ძლიერდა უკელა პოლიტიკურ უფლებებს  
 ყოველ ოცდაერთი წლის ფრანგუზს განურჩევლათ ქონებისა.  
 არჩევნები იყო საყოველთაო და მთელი ხალხი ირჩევდა ეროვ-  
 ნულ კრებას. ეროვნული კრება განაგებდა მთელი სახელმწიუ-  
 ფას ხაქმებს, ხოლო კონტროლი ისევ ხალხს ეკუთვნოდა და  
 ხალხს შეეძლო, დაერღვია ეროვნული კრების ესა-თუ ის  
 დადგენილება. ამგვარათ ახალი კონსტიტუცია დარსებდა საფ-  
 რანგოთში სრულ დემოკრატიულ წყობილებას და ხალხის  
 თქითმშეყრობელობას. მონტანიარების კონვენტმა ამ კონსტი-  
 ტუციით ხალხს აუწყა: შენ უფროსი არა გყავს, უფროსი, მე-  
 ფიც, მთავრობაც შენ თვითონა ხარ და ჰკვეყნის საქმეებს შენ  
 თვითონ უნდა განაგებდე. შენს მიერ არჩეული პირების დახმა-  
 რებითო. კრების მიზანი არა იყო მომართვის მიზანი, არა იყო  
 კრების მიზანი მომართვის მიზანი. არა იყო კრების მიზანი  
 შედეგი. მოჰკვა ახალ კონსტიტუციას? პრაქტიკულათ  
 არავითარი, კონვენტმა დაამტკიცა კონსტიტუცია, ხოლო შე-  
 მოდებით არ შემოიღო, რადგანაც ჯერ საფრანგეთის დაშვი  
 დება უნდოდა. ხოლო სანამ მონტანიარების კონვენტი საფ-  
 რანგეთს დაამშვიდებდა და ახალ კონსტიტუციას შემოიღებდა,  
 მან თავისი სისასტიკეთა და სისხლის ღვრით ხალხის დიდი

ნაწილი გადიმტერა. მონტანიარების ბელადი იყვენ დანტონი, მარატი და რობერტი იყო გულწრფელი მოსახ-  
 ჩლე შურომელი ხალხისა, ყოველ კითხვაში იმის ინტერესებს  
 იცავდა და ამიტომ თავადაზნაურობისა და ბურჯუაზის წარ-  
 მომადგენლებს მარატი განსაკუთრებით სძულდათ. მარატის  
 შესახებ ათასგვარ ჭორებს ავრცელებდენ და ამ ჭორების წყა-  
 ლობით მარატი ბევრს საფრანგეთის დამღუპველათ მიაჩნდა.  
 უსათუოთ ამგვარმა ჭორებმა ამხედრეს მარატის წინააღმდეგ  
 ახალგაზრდა ქალი შარლოტა კორდე, რომელმაც მარატი  
 დანით მოჰკლა. შარლოტას სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. თუ  
 რა განუკითხავათ სჭრიდენ ამ დროს თავებს, შემდეგი მაგა-  
 ლითი ამტკიცებს: როცა შარლოტა თავის მოსაკვეთათ მიჰ-  
 ყვდათ, ერთმა კაცმა იმის დანახეაზე წამოიძახა: ბრუტსა  
 სჯობიაო. (ბრუტმა იულიოს კეისარი მოჰკლა რომში) ამისა-  
 თვის ამ საცოდავსაც ხელი სტაცეს და თავი გააგდების; ხალ-  
 ხი აღმერთებდა მარატს და ის დიდის ამბით დაასაფლავეს. მა-  
 რატის სიკვდილის შემდეგ ტერრორი უფრო გაძლიერდა. დიქ-  
 ტატორის უფლებანი რობერტი ჩაიგდო ხელში და რამო-  
 დენიმე თვის განმავლობაში თითქმის სამიათას კაცს გააგდებია  
 თავი. ნუთუ ამდენათ მხეცი იყო რობერტი? რობერტი იყო  
 უკიდურესი დემოკრატი; რესპუბლიკის კეთილდღეობას  
 ის ყველაფერზე მაღლა აყენებდა და ამ მიზნის მისაღწევათ ის  
 არ ერიდებოდა არავითარ მსხვერებლს; ვიზედაც კი ეჭვს მიი-  
 ტანდა, ყველას ეშაპოტზე გზავნიდა. როცა რეაქციონერებსა  
 და ეირონდისტებს მუსრი გაავლო, შემდეგ რევოლუციონე-  
 რებს მოსრგა. ვისაც ვერ შენიშნავდა სარევოლუციო სიმტკი-  
 ცეს, სიკვდილით სჯიდა. მისმა სისასტიკემ ამხედრა იმის წი-  
 ნააღმდეგ ბევრი მისი ამხანაგი და მათ შორის დანტონი და  
 კამილ დემულენი. რობერტი ისინი დააჭირინა და ამდროს  
 დაჭირა და თავის გაგდებინება ერთი და იგივე იყო. დანტო-  
 ნი და დემულენი წარსდგენ სასამართლოს წინაშე. თქვენ ვინ  
 ხართო, ჰყითხა მოსამართლემ დანტონს, რადგანაც ამგვარ  
 კითხვას ითხოვდა მართლმსაჯულების ფორმალური მხარე.—  
 ვე ვარ დანტონი, რევოლუციაში კარგათ ცნობილი. ჩემი

## საფრანგეთის სახელმწიფო და სახურავ. ტერმ 45.

სადგომი მაღვ არარაობა იქნება, ხოლო ჩემი სახელი ისტორიის პანთონში დარჩება უკვდავათო, უპასუხა დანტონმა. არავინ არ მოელოდა, რომ დანტონსა და დემულენს სიკვდილით დასჯიდენ, მაგრამ სასამართლომ ორივეს სიკვდილი მიუსაჯა რობესპიერის ზეგავლენით. ჩვენ მსხვერპლათ გვწირავენ რამდენიმე ლაპარ ვეაზაკების თავმოყვარეობას, მაგრამ ისინი დიდხანს ვერ ისარგებლებენ თავისი ვერაგობის ნაყოფით. რობესპიერი მაღვ გამომყვება უკანო, წარმოსთქვა დანტონმა თავის უკანასკნელ სიტყვაში და მისი წინასწარმეტუყველება მაღვ ახდა.

რობესპიერმა შოთორა ყველა გამოჩენილი რევოლუციონერები და გახდა სრული დიქტატორი. მის ბრძანებას გმორჩილებოდა ყველა. ის იყო უკიდურესი დემოკრატი, ხალხის სრული ბატონობის მოსარჩევე და დემოკრატიულ წყობილების განმტკაცებას ჰყიქრობდა ცეცხლითა და მახვილით. სისხლის ღვრამ იმდენათ გაიტაცა ის, რომ არც დიდს, არც პატარას, არც მოხუცებულებს აღარ ინდობდა. ოთხმოცი წლის მოხუცებს ჰკვეთდენ თავებს; ეროვნული სამართებელი, ანუ გილიოტინა, დღე და ღამე მუშაობდა საფრანგეთის ყოველ ქალაქში. უბრალო ეჭვი, უბრალო დასმენა საკამარისი იყო, რომ ადამიანისათვის თავი გაეგდებინებიათ. მეცნიერებს, მწერლებს, გლეხებს, მუშებს, მათხოვრებს,— ერთნაირათ ჰკვეთდენ თავებს. როდესაც გამოჩენილ ქიმიკოსს ლავუაზიეს სიკვდილი მიუსაჯეს, ლავუაზიემ ითხოვა: ერთი თვით დაგვიანეთ ჩემი დასჯა, რადგანაც ლიდ მნიშვნელოვანი გამოკვლევა მაქვს დასამთავრებელიო. ჩვენთვის მეცნიერები საჭირონი არ არიანო, უპასუხა სასამართლოს თავმჯდომარებ და ამ სიტყვებით დაამტკაცა თავისი სრული სირევენე. ამით არ დაკმაყოფილდა რობესპიერი. მან მიაღებია კონვენტის კანონი, რომლის ძალითაც პოლიტიკურ პატიმრებს მოწმეები და ვექილები ესპობოდათ, ე. ი. თავის დაცვისა და გამართლების ყოველ გვარი საშუალება. ამგვარმა სისხლის ღვრამ ხალხს ნელანელა გული გაუტეხა და რობესპიერის წინააღმდეგ ააშედრა. რობესპიერი ძლიერი იყო, სანამ ხალხი იმის.

მხარეზე იყო. როცა რობესპიერი თავადებსა და მეფის მომხრეებს ჰკვეთდა თავს, ხალხის თვალში ამგვარ მსხვერპლს აზრი ჰქონდა. ხოლო როცა გლეხებსა და მუშებს დაუწყეს თავების კვეთა რესპუბლიკის საკეთილდღეოთ, ხალხმა ეჭვი შეიტანა ტერრორის სარგებლობაში; ბოლოს ის დარწმუნდა, რომ ამ გვარი უაზრო სისხლის ლურა მის მდგომარეობას ვერ გააუმჯობესებდა და რობესპიერისაკენ ზურგი იბრუნა. ამ მომენტით ისარგებლეს რობესპიერის მტრებმა, გაიმართა აგიტაცია და მთელი კონვენტი ამხედრდა რობესპიერის წინააღმდეგ. რობესპიერმა გადასწყვიტა მთელი კონვენტის დაშლა და ურჩი დეპუტატების სიკვდილით დასჯა. მაშინ თვითონ მონტანიარებმა მოინდომეს რობესპიერის თავიდან მოშორება. აი მოვიდა რობესპიერი კონვენტის კრებაზე 27 ივნისს 1794 წელს; წყნარათ ავიდა ტრიბუნაზე, მაგრამ დასძრა თუ არა ენა, „ძირს სისხლის მსმელო, ძირს მტარვალოვო“, დასძახეს დეპუტატებმა. რობესპიერი გაფითრდა, არასფერს ამის მზგავს ის არ მოელოდა. დაპირა რამდენჯერმე ლაპარაკი, მაგრამ არ აცალეს; სიბრაზით ხველა დაიწყო, ისე მოაწვა სისხლი ყელში. „შე საბრალო, დანტონის სისხლი გალრჩობს განაო, დაიძახა ერთმა დეპუტატმა. უმრავლესობაშ მოითხოვა რობესპიერისა და მისი ამხანაგების შეპყრობა. რობესპიერი მაშინათვე შეიპყრეს თავისი ამხანაგებიანა და მალე დააპატიმრეს ეროვნული გვარლის უფროსიც, რომ მას ჯარი არ წამოეყვანა კონვენტის წინააღმდეგ. რობესპიერის ამხანაგები შეიკრიბენ, მიმართეს ხალხს მოწოდებით, რომელშიც ურჩევდენ რობესპიერის განთავისუფლებასა და მოღალატე კონვენტის განადგურებას; მოიშხეს ჯარის ნაწილი და გაანთავისუფლეს რობესპიერი. კონვენტმა გამოაცხადა რობესპიერი მისი ამხანაგებით სამშობლოს მოღალატეთ. ხალხის უმრავლესობა კონვენტს მიემხრო. რობესპიერი მისი ამხანაგებით ხელ ახლა შეიპყრეს. ოც და რვა ივნისს 1794 წელს რობესპიერსა და ოც იმის ამხანაგს მიესაჯა სიკვდილით დასჯა. ამ განაჩენმა ხალხი იღტაცებაში მოიყვანა. ქვრივებმა, რომლის ქმრებსაც რობესპიერმა თავები დააკვეთია, მოიტანეს საქონ-

## საფრანგეთის სახელმწიფო და საზოგ. წერბ. 47

ლის სისხლი, მითი შეღებეს რობესპიერის სახლი და იმის წინ ცეკვა დაიწყეს. რობესპიერის უკანასკნელი სიტყვები იყო: „რესპუბლიკა დაიღუპა, ავაზაკებს დღესასწაული დაუდგათ“-ო.

სამწუხაროთ ეს სიტყვები მალე ახდა. რობესპიერის რომ ხალხისათვის საქმე ეჩვენებინა და არა საშინელი სისხლის ლერა მარტო, მას ხალხი არ უღალატებდა და მტრებიც ვერ დაა-მარცხებდნენ. რობესპიერის დამარცხებით ისარებლა ბურჯუა-ზია. ის მალე მოექცა სახელმწიფოს სათავეში და ახალი კონვენტის წევრები უმეტესათ ბურჯუაზიას ეკუთვნოდნენ. ახალმა კონვენტმა შეიმუშავა ახალი კონსტიტუცია. საკანონ-მდებლო უფლება გადაეცა ორ პალატას, აღმასრულებელი უფლება ხუთ დირექტორს; დირექტორები ნიშნავდნენ მინის-ტრებს. წოდებები თავისი პრივილეგიებით გაუქმდნენ და გლე-ხებმა ბატონყმობის მმიმე უღლეს თავი დააღწიეს. თავად-აზნა-ურობისა და საეკლესიო მიწების დიდი ნაწილი ბურჯუაზიშ ჩაიგდო ფულის შემწეობით ხელში, ღატაკები ისევ ღატაკე-ბათ დარჩენ. და ამგვარათ თვითონ პრინციპი კერძო საკუთ-რებისა და ქონებრივი უთანასწორობა ხელუხლებელ იქმნა აღიარებული. რევოლუციამ მოსპონ თვითშპრინაელობა და ფეოდალური წყობილება; მათს ალაგას დაამკვიდრა ხალხის წარმომადგენლობა და ბურჯუაზული წყობილება. არჩევნებს სარჩულათ დაედა ქონებრივი ცენზი. არჩევის უფლება პრინ-და ყოველ ოცდა ერთის წლის ფრანცუზს, ხოლო ამომრჩევ-ლად აირჩეოდა მარტო ის, ვინც განსაზღვრული ქონების პატრონი იყო და გადასახადს იხდიდა. დეპუტატი უნდა ყო-ფილიყო ოც და ათის წლის და ამავე დროს უძრავი ქონების პატრონი. ამ კონსტიტუციით საფრანგეთის ხალხის ღარიბ ნაწილს პოლიტიკური უფლებანი ისევ წაერთვა. ბურჯუაზი-ამ მოსპონ ამ კონსტიტუციით სრული დემოკრატიული წყო-ბილება, რომლის განსახორციელებლათაც რობესპიერი შეუ-ბრალებლათ ჰკვეთდა თავს ყველას, ვინც მას წინ ელობე-ბოდა.

ივ. გომართელი.

(შემდეგი იქნება).

## უგულო გავში

(მთხვეობისა).



ერ ევერარდი მოუსვენტათ დადიოდა ოთახის ერთი კუთხიდან მეორემდის, სანამ როგორც იქნა კარი არ გაიღოდა ექიმმა არ ანიშნა შემოდითო. პატარა სასტუმროში ცოტა ჩამობნელებული იყო, ისე რომ ბავშის სახე კარგათ არ ჩანდა, ადამიანი მხოლოთ ნახევრათ გაარჩევდა შავ-თმა-ხუჭუჭა თავს, რომელიც თეთრ ბალიშზე იყო დაყრდნობილი. სერევერარდი დივანს მიუახლოვდა. ჯორჯგა პატარა ხელი გაუშვირა და თავისკენ მიიზიდა თავისი მამა.

— მამა! — სუსტი ხმით წამოილაპარაკა მან. — ის ხომ კარგათ არის? ხომ არაფერი უტკენია, არ გაცივებულა? რა მიხარია, რომ ის კი არ დაეცა ხეს, მე დავეცი!

— ოო, ნუ ამბობ მაგას, ნუ, ჩემო ბიჭიყო!

— მამა, აღარ მიწყრები? აღარაოდეს აღარ წავალ იქ, აღარაოდეს, მამა. ყოველთვის გაგივონებ რასაც მეტყვი. მითხარი; მამა, ხომ არ მიწყრები!

— არა, ჩემო საწყალო ბიჭიყო, არა, არ გიწყრები. მე მხოლოთ ვწუხვარ, რომ ავათა ხარ.

— ძალიან ავათა ვარ, მამა? რა ემართება ამ ჩემ თავს! მამა, ხომ მალე მოვრჩები?

— იმედი მაქეს რომ მალე, ჩემო პატარა. ხვალ მოვლენ ექიმები ლონდონიდან და მოგარჩენენ.

— მკის დღესასწაულისთვის მოვრჩები, მამა?

— რა მკის დღესასწაულისთვის?

— არ გახსოვს, მე და ვილლის რომ დაგვპირდი, დღე სასწაულს გავაწყობ იმ კვირაშიო? რა დღეს დანიშნავ?

— პოო... ჯერ არ ამომირჩევია დღე, ჩემო პატარა.

— პურს ხომ მკიან კიდეც! სამშაბათისთვის დავნიშნოთ,  
მამა, გინდა?

პასუხის მაგიერათ სერ ევერარდს თვალებზე ცრემლები  
მოადგა.

— მაშ სამშაბათს, არა? ნეტავი თუ შევიძლებ დოლლის-  
თან ცეკვას?

ამ სიტყვებზე სერ ევერარდს ისევ წარმოუდგა ჯორჯის  
მომავალი ცხოვრება, ფერმკრთალი და სუსტი ბავში, მუდამ  
უძრავათ სავარძელში მჯდომი... ცეკვა! არ ჯობს რომ ახლა-  
ვე უთხრას საბრალო ბავშს, რა მოელის მას? განა ეს მამის  
მოვალეობა არ არის?

— მამა! რატომ არაფერს მეუბნები? — გაისმა ისევ ჯორ-  
ჯის სუსტი ხმა. — მალე მოვრჩები?

მაგრამ სერ ევერარდს ვერც კი მოეხერხებინა პასუხის  
გატემა, მან აიღო ბავშის პატარა ხელი, მიიკრა ტუჩებზე,  
მხურვალეთ აკოცა მას და ბოლოს ძლივს წაილაპარაკა:

— ღმერთი მოწყალეა, მე მგონია, მალე მორჩები, ჩემთ  
ბიჭიკო.

— მე დიდ ხანს წოლა არ შემიძლია, მამა, ახლაც ძა-  
ლიან დაღალული ვარ, თუ არა ამ წამშივე წამოვხტებოდი.

— დაღალული ხარ, ჯორჯ?

— ჰა! — მიუგო ბავშმა და მწუხარებით ამოიოხრა. —  
ზურგიც მტკიცა, თავიც. ისე უცნაურათ ვგრძნობ თავს! ასე  
მეჩვენება, ითქო კუვლაფერი ტრიალებს, და სულ მემინება.

— დაიძინე, ჩემი პატარა.

— ჰა, დავიძინებ! — დაეთანხმა ბავში და თვალები და-  
ხუჭა. — ხვალ რომ გავიღვდებ, სულ კარგათ ვიქნები.

— კარგი ნიშანია, არა, რომ იძინებს? — წაუჩიურჩიულა  
სერ ევერარდმა ექიმს. მაგრამ ექიმმა არა უპასუხა რა.

ცოტა ხანს იქით სერ ევერარდი ბავშების ოთახში წავი-  
და ვილლის სანახვათ. პატარა ვილლი ფანჯარაში იყურებო-  
და დაღონებული, ნელი ხმით, რაღაც სიმღერას ლილი-  
ნებდა. მის გვერდით ნამტირალევი ჯენი იჯდა და რაღაცს  
ჰყერავდა.

სერ ევერარდმა ბავში კალთაში ჩაისვა.

— რას აკეთებ, ჩემო პატარა ბიჭიკო?

— მომწყინდა უჯორჯოთ, მამა. მალე მოვა და ითამაშებს ისევ ჩემთან?

— იმედი მაქს რომ მალე, ჩემო პატარა.

— მთელი ღამე იმ ოთახში დარჩება?

— ჰო, იქ დარჩება.

— გიმოსათხოვრათ ხომ წავალ მასთან?

— არა, ჩემო ბიჭიკო, დღეს ნუ წახვალ.

ვილლის დიდი ცისფერი თვალები მაშინვე ცრემლებით აივსო.

— როგორ შეიძლება ისე დავიძინო, რომ ჯორჯს არ გამოვეთხოვ? — წყენით წამოიძახა მან.

— ნუ სტირი, ჩემო პატარა ბიჭიკო! — ხვეწნით უთხრა საბრალო მამამ, რომელსაც ეშინოდა, თითონაც არ ატირებულიყო, მერე სცადა ლაპარაკი სხვა საგანზე გადაეტანა.

— რას მღეროდი წელან, ჩემო პატარა ვილლი?

— მე ვმღეროდი:

„ცერის ტადა ბავში  
 სტაქნზე შეტოტედა,  
 სტაქნი წამთიქცა  
 ბავშს ფეხები მოტედა“.

— სულელური სიმღერაა, არა, მამა?

— სწორეთ სულელურია! — დაეთანხმა მამა. მაგრამ ამ სულელური სიმღერის სიტყვებიც კი თითქო სწორეთ იმის-თვის იყო მოგონილი, რომ მისთვის მისი უბედურება მოეგონებინა და გული კიდევ უფრო ჩაეკლა.

#### XV

ღამე ჯორჯმა საძაგლათ გაატარა. ხან სულ უგრძნობლათ ეგდო, ხან შფოთავდა და სწუხდა. დილას გაიღვიძა თუ არა ვილლის ნავა მოისურვა, მერე იკითხა, მალე მოვა თუ არა ლონდონიდან ის ექიმი, რომელმაც უნდა მომარჩინოსო. უპასუხეს, თერთმეტ საათზე მოვაო.

სერ ევერარდი ვილლის მოსაყვანად წავიდა, მოიყვანა და

## შეგუღილო ბავშვი

შეუშვა პატარა სასტუმროში, თან დაარიგა, ბევრი არ ელა-  
პარაკო ჯორჯს, არ დაღალოო, თითონ კი კარებში გაჩერდა  
და იქიდან დაუწყო ყურება თავის ორივე შეიღლს.

ვილლი კრძალვით მიუახლოვდა დივანს. ნახევრათ ჩამო-  
პნელებული ოთახი აშინებდა მას. ყველაფერი იქ უცნაურათ  
ქვეენბოლდა... მაგრამ, გაარჩია თუ არა ჯორჯის სახე, მაშინ-  
ვე მსწრაფათ მივარდა მას.

— ჯორჯ, აღექი მალე, აღექი! — შეევედრა ის უფროს  
შეს. რა არის ამდენ ხანს რომ წევხარ და რატომ ხარ მაგრე  
ოფრიდი?

— ავათ ვარ, ვილლი! — მიუგო ჯორჯმა მწუხარე, თან  
თოთქო თავმომწონე კილოთი.

— ნუ ხარ ავათ, ჯორჯ, ნუ ხარ;

— შენ ხომ ხშარათ ხარ ავათ, ვილლი? მეც რატომ არ  
უნდა გავხდე ერთხელ მაინც ავათ?

— ნუ ხარ ავათ, ნუ! — ისევ გაიმეორა ვილლიმ, ტირი-  
ლით.

— აჲ, ჯორჯ, ნეტავი არ შევსულიყავით იმ ხეზე!

ამ დროს სერ ევერარდს დაუძახეს, ლონდონელი ექიმე-  
ბი მოეიდენო. სერ ევერარდი მიეგება მათ, გააცნო უერგემის  
ექიმს, უბრძანა, ყველასათვის საუზე მოერთმიათ და დაბრუნ-  
და, რომ ჯორჯისთვისაც შეეტყობინებინა მათი მოსვლა. უცებ,  
პატარა სასტუმროს რომ მოუახლოვდა, ჯორჯის, ტირილი და  
ყვირილი გაიგონა, თან კარებიდან შეშინებული მთლათ გა-  
ფითრებული ვილლი გამოვარდა.

— მამა, მამა! — წამოიძახა პატარამ. — მიდი მალე ჯორჯ-  
თან! ტირის, მიძახის...

— ტირის? რათ ტირის? შეერთომით ჰკითხა მამამაც.

— არ ვიცა. ისე, უცებ რაღაც დაიძახა, მერე ტირილი  
დაიწყო... მე მარტო ის უთხარი რომ...

— რა? რა უთხარი?

— ვუთხარი ვირეინი ამბობს. რომ შენ მთელი შენი სი-  
ცოცხლე „boiteux“ დარჩევი თქო, და ვკითხე, „boiteux“ რა  
არის.

სერ ევერარდმა მთელი წინა-ლამე იმის ფიქრში გაატარა, თუ რანაირათ გაემხილა ჯორჯისთვის სიმართლე, რა ტკბილი, ალექსიანი სიტყვებით მოემზადებინა ის, ახლა კი მის-თვის თურმე უველიფერი ეთქვათ, და მერე რანაირათ! პირ-და-პირ, მოუმზადებლათ, მოურიდებლათ... ის შეჩერდა და არ იცოდა როგორ შესულიყო. როგორ დაეფარა შეილისთვის ის, რასაც ამ წამში გრძნობდა... მაგრამ ამ დროს პატარა სასტუმროდან ისევ მოისმა ჯორჯის ხმა, რომელიც მამას ეძახოდა და სერ ევერარდი ძალა უნებურათ დაიძრა აღვილიდან.

— მამა! — გამოუთქმელი შიშით წამოიძახა პატარა ჯორა-ჯმა. — მამა, ხომ ტყუილია? თქვი, რომ ტყუილია?

სერ ევერარდი გაშეშებულივით იდგა, არ იცოდა, რა ეთ-ქვა, რითი ენუგე შებინა თავისი საწყალი შეილი.

— ყოველთვის, ყოველთვის რამე უსიამოვნო უნდა თქვას იმ ვირევინიმ! — ჰქვითინებდა ჯორჯი და თან მამის ხელს მაგრათ ჩაჰვრენოდა. — უთხარი, რომ მეორეთ აღარ გაბედოს მაგის თქმა, მამა! მამა! რატომ არაფერს მეუბნები? რატომ არ ამ-ბობ რომ ის ტყუილია? — და ბავში უსაზღვრო სევდით, თან მოუთმენლობით მიჩერებოდა მამას.

— საწყალო ჩემო ბიჭიკო! — ძლივს წამოილაპარაკა სერ ევერარდა.

— შემომხედე, მამა, შემომხედე თვალებში!

სერ ევერარდის სახეზე ისე ცხადათ ეწერა უველიფერი, რასაც ის ამ წამს ჰერძნობდა და ჰერქობდა, რომ მის შე-ხედვაზე ბავშვა ერთი წამოიყვირა, ბალიშე მძიმეთ დაეცა და გული შეუწუხდა.

სერ ევერარდმა მაშინვე ექიმები შემოიყვანა ოთახში.

ჯორჯი ცოტ-ცოტა მოსულიერდა, ის გრძნობდა, რომ რაღაც საშინელი აზრი უტრიალებდა თავში, მაგრამ კარგათ ვერ გამოერკვია ჯერ რაში იყო საქმე. ის იწვა თვალ დახუ-ჭული და ჰერქობდა.

ერთმა ექიმმა შუბლზე ხელი მიადგა და ამით თვალები გაახელინა. ბავშვა აიხედა ზევით, დაინახა თავისი დედის სუ-რათი, ერთ ხანს მიაჩერდა მას, მერე ისევ დახუჭა თვალები და.

ისევ თავის ფიქრებს მიეცა. მისი ფიქრები ახლა წარსულისა-  
კენ წავიდენ...

ის მარტოა, სულ მარტო ამ ოთახში. ფანჯარაში ოდნავ  
შემოდის დღის სინათლე, გარშემო სიჩუმე და მყუდროებაა.

ზევით, თავის ლოგინში ვილლი კვდება, იქნება მოკვდა  
კიდეც. მწუხარებისაგან ჯორჯს გული და სული ეხუთება, მა-  
გრამ მაზე არავინ ჰერიქობს, მის სანუგეშებლათ არავინ მი-  
დის. ის მარტოთ მარტო, ყველასგან მიტოვებული, ყველას-  
გან დავიწყებული, და ის სასოწარკვეთილებით ბუტბუტებს:

— დედა! დედა! რატომ არ მოხვალ ჩემთან? ყველა მიწ-  
ყრება, ყველამ მიმატოვა!...

არავინ არას უპასუხებს.

— დედა! მომეხვივე! ჩამიხუტე!

არც ახლა უპასუხებს არავინ.

მაგრამ ეს ხომ დედა არ არის, ეს სურათია, მხოლოდ  
სურათი!

ვილლი კვდება, იქნება მოკვდა კიდეც. ვეღარაოდეს ვე-  
ღარ ითამაშებს მასთან ერთათ ჯორჯი; ვეღარ ირბენს მასთან  
ერთათ კიბეებზე და ოთახებში!

რა ბედნიერია ის პატარა ბავში, სურათზე! ნუ თუ ის  
მართლა ჯორჯია? არა! ის ყოველთვის დედას უზის კალთაში,  
ჯორჯს კი დედა არა ჰყავს. ჯორჯის დედა ცაშია, ავათ გახ-  
და და მოკვდა. ნეტავი თვითონ ჯორჯიც კვდებოდეს. დედა  
მოკვდა. ვილლი კვდება. მას რაღა უნდა აქ: მაგრამ მას  
რა გახდის ავათ! აი, ვილლი ყოველთვის გაცივდება ხო-  
ლმე და ავათ გახდება. აი, მაშინაც გაცივდა, ტბასთან. რა  
შევნიერება იყო ტბაზე! რა ლამაზი ზამბახები იყო იქ, თე-  
ორი, ვარდის ფერი... ჩიტი მღეროდა...

— ვილლი, ამოდი, ამოდი ნუ გეშინია! — მაგრამ არა,  
ვილლი ხომ კვდება. რითი ამოვა? რა თქვა წელან ჩერკეზე?  
„boiteux“. მერე ჩხივეს „boiteux“ როდის ჰქვია? იმას ხომ  
ჯექს ეძინიან! „boiteux“ ნიშიავს... საწყალი ჩხივი! ვეღა-  
რაოდეს ვეღარ იფრენს, ვეღარაოდეს ვეღარ იხტუნებს... ვინ  
ტქვა „boiteux“ იქნებაო? რა არის „boiteux“?

„boiteux“ არის კოჭლი, კუტი...  
 უცებ წელანდელმა სახარელმა აზრმა ისევ ცხადათ გა-  
 ურბინა ჯორჯს თავში და ტვინში დანასავით შეეჩერა... მაგ-  
 რამ ამ აზრთან ერთათ მის არსებაში იმედმაც გაიღვიძა.

— არა, ეს შეუძლებელია, არა, არა! — და ერთ წამს  
 ბავშვს ცოცხლათ წარმოუდგა თვალწინ მთელი მისი წარსული  
 სიცოცხლე, ბედნიერი, უზრუნველი... და მასთან ვრთათ მო-  
 მავალი, მუდამ ერთ ადგილს ჯდომა, ყოველთვის უძრავათ  
 ყოფნა...

ათასი ფიქრი, ერთი მეორეზე უფრო სამწუხარო, ათასი  
 სურათი, ერთი მეორეზე უფრო უნუგეშო, დატრიალდა ბავ-  
 შის ავათმყოფ, დაღალულ ტვინში... დაბოლოს გარკვევით,  
 ცხადათ დაინახა მან მხოლოდ ორი რამ: ფრთა და ფეხ-მო-  
 ტეხილი ჩხიკვი გალიაში და კუტა ტომი თავის სავარელში.

ჯორჯს ცივშა ოფლმა დაასხა და ის კვნესით აშფოთდა  
 ლოგინზე.

— ნელა, ნელა, ჩემო ბიჭიკო, იტყენ რასმე! — მოესმა  
 მას სერ ევერარდის ხშა.

მაშინვე ჯორჯმა თავისი ორივე პატარა ხელი სტაცა მა-  
 მის დიდ ხელს.

— მე მინდა ვიტკინო რამე, მე მინდა მოვკვდე; მე არ  
 მინდა ასე ვიცოცხლო! სასოწარკვეთილებით წამოიძახა მან.

ექიმები რომ დაინახა, კიდევ უფრო აშფოთდა და კიდევ  
 უფრო მაგრათ ჩააფრინდა მამას.

— წავიდენ, მამა, წავიდენ აქედან! მე ექიმობა არ მინ-  
 და! მე სიცოცხლე არ მინდა!

ექიმები მოცილდენ დივანს; ბავში ცოტა დამშვიდდა,  
 თავი დაანება მამას... სერ ევერარდმა ნაზათ დააწერინა ის  
 ისევ ბალიშზე.

მაშინვე ჯორჯის დიდი შავი თვალები დედა მისის სუ-  
 რათს მიეპყრენ.

— მამა! — დაბალი ხმით ისევ დაიწყო მან. — დამპირდი  
 რომ არ მიაქიმებ!

სერ ევერარდს სიტყვის თქმაც ველარ მოქერხებინა; ისე

იყო გაშტერებული და თან შეწუხებული. როგორ! ასეთ  
ცელქ, მოუსვენარ ბავშვს ახლა სიკვდილი ენატრებოდა?  
— ხომ, მამა, ხომ დამპირდები? ხომ იცი, რომ მე ასე  
ცხოვრება არ შემიძლია? ის არ ჯობს რომ მოვკვევე? ცაში  
წავალ, დედასთან. შეხედე, რა ბედნიერი ვიყავი ბაშინ, მის  
კალთაში! წელან მომეჩვენა, ვითომ მე კი არ ვიყავი ავათ,  
ვიღლი იყო. მაშინაც მინდოდა სიკვდილი, ახლა კი—კიდევ  
უფრო მინუა. დამპირდი, მამა, დამპირდი, რომ არ მოარჩე-  
ნინებ ჩემ თავს!

რამდენჯერმე სცადა სერ ევერარდმა შვილისთვის პასუხი  
გაუცა, მაგრამ ვერ მოახერხა, მწუხარებისაგან და აღელვებისა-  
გან სიტყვები ყელში უჩერდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა,  
რაღაც თანხმობის გვარი წამოილულლულა და ბავში მთლათ  
დამშვიდება.

ყველაფერი, რასაც ჯორჯი მმბობდა და ბოდავდა, გაუ-  
გებარი იყო სერ ევერარდისთვის, განსაკუთრებით მას ბავში-  
საგან დედა-მისის ხსენება აკირვებდა. მან არც კი იცოდა,  
თუ მისი შვილები ამ ბნელ და დაკვეტილ ოთახში როდისმე  
შემოდიოდენ.

— რა იცი, ჯორჯი, რომ ამ სურათზე დედა-შენია და-  
ხატული? — ჰკითხა მან ცოტა ხანს იქით შვილს და მხურვალე  
შუბლზე ხელი დაადვა.

ამ სიტყვებზე ჯორჯმა ისეთი გაკვირვებით შეხედა მამას,  
რომ სერ ევერარდს შერცხვა და ხმა ჩაუწყდა.

ამ დროს ოთახში ექიმები შემოვიდენ.

ახლა ჯორჯი დასთანხმდა რომ ექიმებს დაეთვალიერები-  
ნათ. როცა ყველა ეს გათავდა, სერ ევერარდმა უერგემის  
ექიმი შვილთან დატოვა, თითონ კი ლონდონელებს გაჰყვა,  
რომ მათი აზრი გაეგო. თითონაც არ იცოდა, რისი გაგება  
უფრო თავზარს დასცემდა; ჯორჯის აღელვებამ და სასოწარ-  
კეთილებამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მამა მისზე, რომ  
მას თითქმის ეშინოდა მისი გაგება, ჩემი შვილი იცოცხლებს,  
თუმცა კუტათ დარჩებათ, მაგრამ როცა ექიმებმა უთხრეს,  
ჯორჯი ვერ იცოცხლებსო, მოელი მისი არსება შეძრწუნდა

და მან ძლიერ შეიძიგრა თავი, რომ არ წამოეძახებინა: ყველა-  
ფერი, ყველაფერი მირჩევნია მის სიკვდილს!

— როდის... მოხდება ეს? — ბოლოს როგორც იქნა იქ-  
თხა მან.

— უთუოთ მაღაფ.

— ძალიან დაიტანჯება?

— არა გვგოხია.

და ჩემიდები წავიდეხ.

სურ ევერარდია ეტლადის გააცილა ისინი. ირგვლივ სა-  
მარისებული სიჩურე სუფევდა, არაფერი არ იძროდა, თითქო  
ძთელი ბუნება ელოდა ექიმების გადაწყვეტილებას. როდესაც  
ექიმები ეტლში ჩაჯდენ, მაშინ კი ქარბა დაპბერა, ხეები შე-  
ინძრენ და მათ მწვანე ფოთლებმა სევდიანათ შრიალი დაიწ-  
ყეს, თითქო ერთი მეორეს უზიარებდენ სამწუხარო ამბავს.

სურ ევერარდმა დალონებით გააღევნა თვალი ექიმებს,  
რომლებსაც, თუმცა ნასწავლებიც იყვენ და განთქმულებიც,  
ვერაფერი ვერ მოეხერხებინათ მისი საწყალი შვილის გადა-  
სარჩენათ... მერე დაუგდო ყური ქარის ზრიალს, ფოთლების  
სევდიან შრიალს და მოეჩენა, რომ მოელი ბუნება მასთხმ  
ერთათ სწუხდა და ჰგლოვდა ცელქი პატარა ჯორჯის დაკრ-  
გვას.

ელ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება).



## მანქანა მეფეა

და

შემოხა—უცლი.



ეთვრამეტე საუკუნის შეორე ნახევარში ინგლის-ში შემოიღეს სხვა და სხვა მანქანები. ამ მან-ქანებმა უველა მოწინავე ქვეყნებში სრულებით შესცვალეს ცხოვრების მიმღინარეობა. ამ მან-ქანებს ინგლისელმა ხალხმა მისცა საკუთარი სახელი „რკინის კაცი“. ამ რკინის კაცებმა არ იცოდენ რა იყო დაღლილობა იმ საქმეში, რომლისათვისაც იყვენ აგვ-ბულნი.

„ჯენი“, პირველი სართველი მანქანა, რთავდა 16-ჯერ მეტს, ვიღრე საუკუნესო, დახელოვნებული დამრთავი დედა-კაცი თავის თითისტარით. პირველი თვით მომქმედი სართვე-ლი მანქანა პატარა ყმაწვილის დახმარებით ართავდა იმდენს, რომდენსაც სამი დამრთველი თავისი თითისტარებით. „რკი-ნის კაცებმა“ უფრო უკეთ იგრძნეს თავი, როდესაც მათ და-სახმარებლათ შემოიღეს ორთქლი. სადღა შეეძლო ადამიანს თავისი ერთათ ერთი იარაღით — ხელით შებრძოლოდა დაუ-ლალავ მანქანას, რომელსაც ამოქმედებს საოცარი ძალა, — ორ-თქლი. იარაღი გახდა ახლა ბატონი, კაცი მას დაემორჩილა. სართავ მანქანას ადამიანი მარტო აწოდებდა ბამბას, მატყულს, სელს, მანქანა კი, თვითონ, რთავდა „თითების“ დაუხმარებ-ლათ. ადამიანი მარტო ქვაბს ცუცხლს შეჭმეთქმდა და აუშ-

კებდა ორთქლს, მაშინ მთელი მანქანა ამოძრავდება, ყველა მისი ნაწილები თრთიან. ის ემზავსება გონიერ არსებას.

აღამიანის თვალშინ მოხდა ასეთი ცვლილება—აღამიანშა დაუთმო თავისი ადგილი უსულო იარაღს და თვითონ გადგა განხე.

ამ დრომდის იარაღი იყო რაღაც დამხმარებელი აღამიანისათვის, მისი სამუშევარის შემამსუბუქებელი. რაც უნდა გაეკეთებინა ადამიანს—იარაღი მას შველოდა—რთავდა თუ ქსოვდა, ან სჭედდა. ახლა კი მანქანა, იარაღი, აღარ იყო დამოკიდებული აღამიანზე—ის იყო თავისუფალი არსება, ამიტომ საგანგმოთ დაარქვა მას ინგლისელმა ხალხმა ეს სახელი, „რკინის აღამიანი“. ახლა ადამიანი შეავსებდა მანქანას, რომელიც აკეთებდა უმეტეს ნაწილს იმისას, რასაც უწინ მუშა აკეთებდა იარაღის დახმარებით. თანამედროვეებს ძლიერ აკვირვებდა მაშინები—მანქანები, რომელიც პირველათ აამუშავეს. მაგრამ იმას კი ნუ დავივიწყებო, რომ ეს პირველი მანქანები ძლიერ უხერხული, სუსტები იყვნ. როგორ გამოიცვალა ამ დროიდან ეს მანქანა! ახლანდელი მაშინა,— მანქანა, როგორც ზღაპარში ძლიერი გმირი, სჩადის სასწაულებს. კაცმა უნდა მოანდომოს 11 საათი, რომ ერთი გორგალი ძაფი გააკეთოს. ორთქლით მომუშავე მანქანა ერთი მუშის შემწეობით და ორი დამხმარე პატარა ბიჭით ერთ საათში აკეთებს 1000 გორგალს ძაფს, ანუ 11000 გორგალს თერთმეტ საათში.

გამოცდილი მუშა, რომელიც ბავშობიდან მარტო ღიღების კეთებაში ვარჯიშობდა—დღეში ვერ გააკეთებდა სამ დიუზინზე მეტ ღიღებს, ახლა კი ბავში ერთ დღეში აკეთებს 3000 ცალს. საუკეთესოთ მკერავი ჭალი ერთ წამში ხოლოთ ორმოცდა ათჯერ მეტს ვერ ამოიღებს ნემსს, ორთქლით მომუშავე მკერავი მანქანა, იმავე ღრუს, ამოიღებს 1500 და შეკერავს პერანგს თითქმის ნახევარ საათში, როდესაც მკერავი ჭალი მოუნდება ამავე საკერავს თითქმის მთელს დღეს. საქსოვი მანქანა ერთ წამში ამოიღებს 48000 თვალს წინდი-

## მ-ნ-ანა მეფებ და შრომა—ფული

სას, ამავე დროს კარგი მომუშავე ქალი ძლივ-ძლიობით ამო-  
ღებს 80.

ას ორმოცდა ათი წლის წინათ ერთმა ინგლისელმა მწე-  
რალმა ასწერა ის საოცარი წარმატება, რომელიც გამოიწვია  
სამუშევარის გაყოფაში.

„თვითოული მუშა რომ ცალკე მუშაობდეს, ამბობს ეს  
მწერალი, სხვის დაუხმარებლათ და თვითონაც ცოტა გავარ-  
ჯიშებული იყოს ამ საქმეში, დღეში ის ვერ გააკეთებს 20  
ქინძისთავის მეტს.

ქარხანაში კი, სადაც ერთი ქინძისთავის საჭირო სამუშე-  
ვარი განაწილებულია, ათ სხვა და სხვა მუშათა შორის, თვი-  
თოული ამ ათთავანი ისეთი სისწრაფით და საქმის ცოდნით  
აკეთებს თავისი სამუშევარის ნაწილს, რომ ერთ დღეში იქ  
კეთდება 48000 ქინძისთავი, ანუ 4800 ცალი თვითოულ მუ-  
შაზე. ქინძისთავის ქარხანაში ახლა ჩვენ ვხედავთ შემდეგს—  
ჩასდებენ სპილენძის სინას, სადაც ჯერ არს და აი მანქანა  
გააკეთებს ყოველისფერს, მანქანა სკრის სინას, უწვრილებს  
თავს, აწყობს გაკეთებულ ქინძისთავებს წუთში 180. ქინძის-  
თავის ქარხანაში მარტო ერთი ასეთი მანქანა კი აი მუშა-  
ობს, არამედ ბევრი. ქარხანა, რომელიც მე ვნახე, მოგვით-  
ხრობს ერთი ნასწავლი კაცი, შეიცავს 70 მანქანას, მუშა  
დღე არის 10 საათის, ამ ათ საათში კეთდება ყოველ დღე  
7 მილიონ ნახევარი ქინძისთავი. ამ მანქანებს უდგია მხო-  
ლოთ სამი მუშა და კიდევ ერთი მემანქანე თავისი თანაშემ-  
წეთი. გამოდის რომ თვითოული აკეთებს ერთნახევარ მილი-  
ონ ქინძისთავს დღეში.

ასეთივე გასაოცარ ამბავს მოგვიყვებოდა ჩვენ, თუ ვკით-  
ხავთ წუმწუმის კოლოფი. ახლანდელ წუმწუმის ქარხნებში  
ყოველისფერი კეთდება მანქანით. მანქანა სთლის პატარა ჩხი-  
რებს და ფიცრის ნათალებს—ამზადებს ყოველისფერს, რაც  
საჭიროა წუმწუმისათვის და თითქმის მანქანა თვითონვე ალა-  
გებს გაკეთებულ წუმწუმებს კოლოფებში. აი ერთ მანქანას-  
თან პატარა გოგო აწოდებს მანქანას ფიცრის ნათალებს, ერ-  
თი თვალის დახამხამებაზე მანქანა გადმოისცრის უკვე გაკეთე-

ბულ კოლოფს. ერთ წუთში კეთდება ასი კოლოფი. სახლში შომუშავე ქალი თავისი ორი შვილით, ერთ სამუშავო ღლეში, ომელიც გასტანს ხოლმე 15 საათს, გააკეთებს მარტო 1000 კოლოფს.

მანქანა გამეფდა არა მარტო ქარხანაში და ფაბრიკებში. მანქანა ახლა მუშაობს ყანებშიაც. ამერიკაში მიწის სამუშავო მანქანები ძლიერ გავრცელებული არის, რადგანაც იქ ცოტა არის მუშა ხელი. ვებერთელა ორთქლის გუთნებით და ერთი მუშის დახმარებით ხნავენ ყანებს, რომელსაც ათი უბრალო გუთანი ვერ დახნავს ერთ ღლეში. პურს დათესვენ და მოქიან იმ მანქანებით. ამერიკელებს აქვთ მომკეფი და ძნების შემკრავი განქანები, ერთი დაქნევით მანქანა მკის დიდ ყანას. ამ მანქანით ამერიკელი ფერმერი თავისი შვილის დახმარებით რვა საათის განმომავლობაში მკის და კრავს ძნებს ორმოცხე შეტ ქცევას. ჩვენებური ნამგალით ხელში, მუშა დილიდან სალამობადის ოთხ ქცევაზე მეტს ვერ მოჰკის. როდესაც ორთქლით მომუშავე მანქანა გაათავებს თავის საქმეს, მაშინ დაიწყებს მუშაობას მლეწავი მანქანა.

შვილი მუშა ერთ წამში ამ მანქანით გალეჭავს პურს მოპკილს ათ ოთხკუთხვი საექნიდან.

პურით საქსე ტომარი ასე იწყებს თავის მოგზაურობას — ერთი მანქანიდან მეორესთან გადადის — მანქანა ფქვავს პურს; მანქანა ზელავს ცომს და აცხობს პურს. ათი კაცი მანქანებთან მიყენებული ამზადებს იმოდენა პურს, რამოდენიც საჭიროა 1000 კაცის სამყოფათ.

მანქანა გავრცელებულია არა მარტო მიწის შემუშავებაში, სხვა მრეწველობის დარგებშიაც. ამერიკაში მანქანას აქვს დიდი გასავალი: მაგალითათ ნაღების შოქვეფავი მანქანა უჯახებში ყველგან მიღებულია, უწინდელი უხერხული სადლვებლების მაგიერ. ყველის მკეთებელ მანქანასაც ხშირად ვხედავთ. ეს კიდევ არაფერი — წარმოიდგინეთ ქათმების გაშენებაშიაც. კი ამერიკელები ხმარობენ მანქანას. ამერიკაში ქათმების კვერცხებზე არ დასმენ, როგორც ჩვენში, იქ ხმარობენ „მანქანებს წიწილების გამოსაჩეკათ“, მანქანა ზამთარ — ზაფხულ

## მანქანა მეზედ და ბრომა—ფული

აფასობით გამოსჩეკს წიწილებს. ამათი მოვლა, ჭამა ისევ მანქანის შემწეობით მოხდება.

ფრინველთ შესანახავი სახლი, მოგვითხრობს ერთი რუსებს მწერალი, მოგაგონებთ ფრინველების ქარხანას.

ჩრდილოეთ შტატებში გამართულია მთელი საყისპო ქარხნები. იქ მუშაობს ვეებერთელი მანქანები: მანქანა ზიდავს თივას სათივიდან და მიაქვს პირუტყვათან, მანქანა ამზადებს საჭმელს, სწმენდს სიმინდის მარცვალს და ჰუკვავს, მანქანა ანაწილებს საჭმელს ბაგაში. მანქანა ზიდავს წყალს, ავსებს ღრმებს ბაგებთან; მანქანა სწმენდს ბაგას დღეში ორჯერ. როგორც უწინდელ დროში მონა ემსახურებოდა თავის ბატონს, ისე ახლა მანქანა ემსახურება პირუტყვს. ერთი მუშა საქმარისია, რომ ყური უგდოს 200 ხარს. ამ მუშას ნაკლები დრო ეხარჯება, ვიდრე იმ გლეხ კაცს, რომელსაც მოსავლელი და ყურ საგდები ჰყავს 15 თავი პირუტყვი.

ხარი ჩემი ასეთ ქარხანაში იმ დრომდე, სანამ სულ მზათ არ იქნება დასაკლავათ. მაშინ გასუქებულ პირუტყვს გაგზავნიან საყისპოში ამ „სიკვდილის ქარხანაში“. იქ მანქანები ერთი წლის განმომავლობაში რამდენიმე მილიონს თავს. ხორცათ იქცევენ. არაფერი არ იკარგება ამ ქარხნებში, ყოველისფერი საჭირო საგნებათ გადამუშავდება.

ამ გვარათ მანქანა აკეთებს იმას, რაც უნდა გაეკეთებინა აღამიანის ხელს.

ჩვენ თუ დავაკვირდებით იმას, რასაც ვჭამთ, ვსვამთ რა, გვაცვია, რისაგან არის გაკეთებული ჩვენი სახლები—უკელგან დავინახავთ „რკინის ჭაცის“ ხელს, ამბობს ერთი მწერალი. უკელგან მათი მუშაობის ნაყოფია. ყანების დამუშავება, მომკა, პურის დაფქვა, გამოცხობა. მათი ხელით გადააქვთ ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყნაში სხვა და სხვა საქონელი.

რა გინდ ღარიბი იყოს აღამიანი— დაკვირდით მას, მასაც ეტყობა ამ „რკინის ჭაცის“ ხელი. მისი პერანგი ხომ ბამბისაა, ეს ბამბა ამერიკადან მოტანილია—იქ ის დათესეს მანქანით, მანქანითვე მოკრიფეს, გემით მოიტანეს, რკინის გზაზე ბევრი ატარეს, სართავ მაშინებში თავი აკვრევინეს, ჩითის ქარ-


ხანაც მოატარეს — ამდენ მოგზაურობის შემდეგ, მარტო ჩვენ დარიბის ზურგზე მოიქცა.

უწინდელ დროში ბერძნებს ვერ წარმოედგინათ, როგორ შეიძლება ასებობა უმონებოთ — მონა — ეს იყო ყოველისფერი საპერძეოთში. მათ მზგავსათ ჩვენც ეხლა ვერ წარმოვიდგენთ მოწინავე ხალხთა ცხოვრებას უმანქანოთ. მანქანას შეუძლია ყოველგან შენაცვლება აღამიანისა, აღამიანს კი მისი სუსტი ხელით არ შეუძლია უმანქანოთ გაძლება. ძალა და სისწორე აი მანქანის დაუფასებელი თვისებები. და აი ამ თვისებებით მანქანა ასრულებს ყოველგვარ საქმეს, რომლის ასრულება აღამიანს ან სრულებით არ შეუძლიან, ან ძნელათ თუ აასრულებს, მაგრამ როგორ შეედრის მანქანის ზედმიწევნით შემუშავებას.

ვერა მჭედელი ვერ ასწევს უროს, წონით მეტს, ვიღრე უუთ ნახევარს. ორთქლით მომუშავე ურო კი ხანდისხან აიწონს 3000 ფ. ამ ახმახს შეუძლიან ერთ წამში ასჯერ დაკრას, ის მუშაობს თითქოს თამაშობსო, ერთი გაკვრით ვეზერთელი ქვებს მტვრათ აქცევს და ამავე დროს კარგად მომართული ის ისე ნაზათ ეცემა გრდემლზე, რომ დადებულს მასზე თხილი ისე გასტეხს, რომ გულს არ გაუჭილიტავს; ან ლურსმნებს აჭერებს ფიცარში ისე, როგორც პატარა ჩაქუჩი. აი ამ მაგალითიდან ვხედავთ რა მიუწვდენელ სიმაღლეზე სდგას მანქანის სისწორე და ძალა. ათასს მუშას არ შეუძლია ამ ორთქლით მომუშავე უროს საქმე აასრულონ.

ა. ფ.

(გაგრძელება იქნება).





## ანაგრამა

(წარმოდგენილი მ. ღელაშვილისმიერ).

საჭიდაო მოედანს გაუს,  
როცა მომზადებულია,  
ზედ რომ გავშლით ოქროს სუფრას,  
მაშინ დამშვენებულია.  
მეორე კი სახელია,  
ცოტა შემოკლებულია.  
ოთხი ასოთი ორივე  
საწყრაო მოსწრებულია.

## ზ მ პ.

(წარმ. მისგანვე)

აპრილი კოხტა თვე არის,  
მარტი კი საძაგელია,  
მოვა მაისი ლამაზი,  
ის უფრო სანატრელია.

## გ ა მ ღ ლ ც ა ნ ა.

ზამთარ-ზაფხულს უწყულა  
ზამთართა შინაურია,  
ტანსა აცვია ეკალი,  
გაიხდის აზნაურია,  
მას წაიღებენ ქალაქში,  
ვერ იცნობ საღაურია.

## სხვა და სხვა ამბები.

აბრაგიმ მეფე შირვანისა, როდესაც ძრიელი მეფე თე-  
 შურლანგი მიადგა იმის პაწაწინა და უძლუტ სამეფოს დასაპ-  
 ყრობად, საშინლად შეკრთა და გადასწყვიტა როგორმე გა-  
 დაერჩინა თავის საცადავი სამეფო ამ ლომის კლანჭებიდან,  
 ადგა და რაც კი რამ ძვირფასი გააჩნდა იმ, მთელის ქვეყნის  
 დაცყრობელს, ლომს გაუგზავნა. ყველაფერი ნაძღვნევი, ცხრა-  
 ცხრა იყო: ცხრა არაბეთის, ცხენი, ცხრა სანადიროთ გაწვ-  
 რთვნილი მიმინო, ცხრა ძეირფასი ინდოეთის ქსოვილი ხალიჩა  
 და მხოლოთ რვა რჩეული მონა. „ამის მეცხრ სადღაა?“ შეჰ-  
 უკირა გულზვიალმა თემურლანგმა.—ის თქვენ ფეხი ქვეშეა,  
 მიუგო აბრაგიმმა და იმის მუხლებთან პირქვე დაეცა. „უფალს  
 სურს რომ ჩემის ხალხის გადასარჩენად თავი შემოგწირო შენაო.“

— არა! უთხრა იმას თემურლანგმა. პირიქით დღეიდან  
 შენ იქნები ჩემი მეგობარი. იდი ისევ შენ სამეფო ტახტზე და  
 დევ, შენი ხალხი იყვეს ბედნიერი შენისთანა სულგრძელის  
 მეფის ხელში.

\* \*

გამოცანის ახსნა. ანგარიშის მასწავლებელი: ყმაწვილე-  
 ბო, ვთქვათ თქვენ ექვსნი ხართ—მე რომ თქვენ ყველას თა-  
 ნასწორად დაგირიგოთ 6 ნესვი, 18 კიტრი, 21 ქლიავა, 30  
 ატაში, 42 ლელვი და 48 მსხალი, რამდენი გექნებათ თვითე-  
 ულს თქვენგანს?

ერთმა ჩასუქქებულმა ზარმაცმა მოწაფემ, რომელიც სულ  
 ჭამაზე ფიქრობდა ყველაზე უმაღ აიშვირა თითო და ასე უპა-  
 სუხა: „ბატონო მასწავლებელო! თვითეულს ჩვენგანს კუჭი  
 შეეშლება!... ყველას გაეცენა...“

\* \*

ეგზამენთ. — რამდენი ზღვა არის რუსეთში? ჰკითხეს ერთ  
 მოწაფეს ეგზამენზე.

— რუსეთში სულ ხუთი ზღვა არის, უპასუხა მოწაფემ:  
 — კასპიის, ბალტიის, შავი და თეთრი.

— ეს ხომ ოთხი გამოვიდა, მეხუთე სადღაა? ჰკითხეს  
 მოწაფეს. ბავში ცოტათი ჩაფიქრდა და მერე მიუგო:— მეხუ-  
 თე ზღვა ჩვენი მსოფლიო ცხოვრება არის, რომელიც ზღვასა-  
 ვით ღელავს“...

ასეთი გრძნობიერი პასუხისთვის კაი ნიშანი დაუსვეს.

მაიმუნთა შესასწავლიდ მეცნიერებში მიღებულია ამის განყოფილება: 1-ს შეადგენს ვიწროცხვირა (Catarrhini), 2-ს პლატირელცხვირა (Platyrrhini) და 3-ს ჭანგიანი (Arcto-pitheci) მაიმუნები. ვიწროცხვირა და პლატირელცხვირა მაიმუნებს ხელის და ფეხის ყველა თითებზე ფრჩხილები აქვთ ისეთივე, როგორც ადამიანს, ხოლო ჭანგიან მაიმუნებს ფრჩხილი აქვთ მარტოოდენ ფეხების დიდ თითებზე, დანარჩენ თითებზე კი (ფეხის და ხელის) ჭანგები ასხათ. ვიწროცხვირა მაიმუნები სცხოვრობენ მხოლოდ ძველ ქვეყნებში; პლატირელცხვირა და ჭანგებიანი მაიმუნები მხოლოდ ახალ ქვეყნის მცხოვრებნი არიან, ე. ი. ამერიკისა.

**ვიწროცხვირიანი ცხვირის ძიღვეთი** (носовая перегородка) და კბილების მოწყობილებით ძრიელ ჰევანან ადამიანს. მხოლოდ ზემო ყბაში ღოჯის და საკვეთ კბილება შეაცარიელი ადგილი აქვთ, რომელსაც ავსებს ქვემო ყბის მაგარი ღოჯი, ადამიანს-კი კბილები სულ რიგზე აქვს ჩამწერიებული.

ვიწროცხვირა მაიმუნების **თვახი** ორად განიყოფება: 1-ს შეადგენენ ადამიანის ხახის (Antropomorpha), 2-ს ძალის ხახის (Cynopithecini) მაიმუნები. პირველნი ფეხის გულის გარეთა ნაპირებზე დაღიან, მეორენი კი ფეხს (ტერფს) ანუ ფეხის გულს მთლიად აღგამენ. ადამიანის ხახის მაიმუნებს არც კუდი აქვთ და არც ყვრიმლის თალიები (защечные мешки); მცირეოდენს ამათში ზოგს საჯდომები ზიშველი, დაკურძებული აქვთ (ცხვალიშვილის მცვолი); ხოლო ძალისხახის მაიმუნები ყველა დუმებშიშველნი არიან; ზოგს ამათში ყვრიმლის თალიებიც აქვთ და კუდიც.

**ადამიანის ხახი** (Antropomorpha) მაიმუნებს ახლო მსგავსება აქვთ ადამიანთან თვალყურის მოწყობილებით და განწყობილებით; ესენი წარმოადგენენ ყველაზე უფრო ძრიელ განვითარებულ მაიმუნთა ჯვეფს. ხელები უფრო გრძელი აქვთ

---

კორექტურული შეცდომა: „ბუნების ლექსიკონ-ს“ მესამე გვერდზე,  
 (შესავალში) დამდან მეთერთმეტ სტრიქონში სწერია: ლინენიმ მეგავს  
 ცხოველებში გავაცანო მოელი მათი გვარი. უნდა იყოს ლინენის მსგავს  
 ცხოველებიდან შეაღგინა მთალი მათი გვარი.

და ფეხები უფრო მოკლე, ვიდრე აღამიანს; კუდი არა აქვთ; პირისახის და ფეხის თითების გარდა მოელი ტანი ბალნით აქვთ შემოსილი. ამ მაიმუნების ჯგუფს შეადგენს ოთხი მსგავსი (ვИДЪ). ამათში გორილლა და შიმპანზე ცხოვრობენ აფრიკაში, ხოლო ორანგუტანი და გიბონები აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში.

### პირგელი გგარი.

#### გორილლა.

Gorilla gina Geoffr. ანუ *Troglodytes gorilla* Cuv.



ორილლა თავის გვარის ერთად ერთი წარმომადგენელია, ყველა მაიმუნზე უდიდესი და უძრიელესი მაიმუნია. ტანადობით არ ჩამორჩება მაღალს, წარმოსადეგ ზორბა ვაჟკაცს; მხარ-ბეჭუში ხო უფრო განიერიცა. სიმაღლით ორ ადლამდეა—ტერფიდან ქოჩიამდე 165—190 სანტიმეტრია. მხარ-ბეჭუში კი 95 სანტიმეტრი. დედალი გორილლა კი ტან დაბალია, ერთნახევარ მეტრი \*) იზდება.

ტანის მოყვანილობა-აგებულობით, სახის მეტყველებით და ხელ-ფეხის სიგრძით ყველა მაიმუნებში გორილლა უფრო ძრიელ უახლოვდება ადამიანს. თუკისფერ ტიტველი სახეზე თვალები წინა აქვს მოქცეული, ტიტველი ყურებიც სიდიდე-ფორმით აღამიანისას უგავს; ხელების სიგრძე მუხლებ ცოტა ქვევით უწევს. ხელის ცერი დაშორებული აქვს დანარჩენ თითებს, ამიტომ ადამიანივით შეუძლია ცერი დაუპირდაპიროს და ყველა თითებს შეეხოს. მაშისადამე ჩვენსავით შეუძლია მუშტის დაკეცვა, რაიმე საგნის ძრიელი დაბლუჯვა, ხელის მოკიდება. თითებზე ადამიანსავით პრტყველი ფრჩხილები ასხია.

\*) მეტრი ჩვენს ადლს უდრის, 22 ვერშოკია, დაჭლეულია ას ნაწილად ანუ სანტიმეტრად, ე. ი. ასი სანტიმეტრი ერთი მეტრია.

ლონიერი კბილების რიცხვი (32) და მოყვანილობა იგივეა, რაც აღამიანისა, მხოლოდ ღოჯები აქვს ძრიელ განვითარებული— კვემო ყბის ღოჯების თავი, მაგალითად, ზემოყბის კბილებ შეუა აქვს ჩამჯდარი. მაიმუნი, ხელს სტაცებს თუ არა საჭმელს, ჯერ საკვეთ კბილებით მოკერძების და შემდეგ ფეხვის (უკანა) კბილებით ღებუს. ამ დროს მისი ქვემო უბა თავისუფლად მოძრაობს (როგორც აღამიანისა) მარჯვნივ, მარცხნივ, წინ და უკან.

უფრო კი ძრიელ გორილლა, შიგნეულობის აგებულობით, ემსგავსება აღამიანს, მაგალითად: გრძნობის ორგანოები, თავის კოლოფის დიდი და პატარა ტვინი, ხერხემლის ტვინი, აგრეთვე სისხლის ასამოძრავი სასუნთქი და საჭმლის მოსანელებელი ორგანოები ფორმით, დანიშნულებით, ფუნქციით და მოწყობილება-აგებულობით ძრიელ ემსგავსებიან აღამიანისას.

გარეგანი შეხედულობით კი გორილლა მეტისმეტათ უმსგავსი და დუქტერია. მოკლე, სქელი და ჩამდგრალი კისერი არც-კი ეტყობა— თითქოს უშველებელი თავი პარდპირ ტანზე აქვს მობმულიო. პირისახე, რაც ხანში შედის, უფრო ღინგივით უგრძელდება (იხ. ახალგაზდა და ბებერ გორილის კენწხა გვ. 7.— მაშინ, როდესაც აღამიანს სახეს უშვენებს გამობურთული, მაღალი შუბლი, ამ მაიმუნს კი ბალნიანი პატარა შუბლი ჯერ ჩადრეკილი აქვს, მერე გადახრილი, თავის სარქვევლისკენ გადაშვებული. ამის მიზეზია მეტად განვითარებული წარბთა მშვილდები, რომელნიც წინ არიან წამოზიდულ-წმოფარებული, ხოლო ჩამოფხერულ წარბთა ქვეშიდან გამოკრთიან პატარა ჩაცვინული თვალები.

ბუნებას უფრო იმითი დაუსჯია გორილლა, რომ თავის კოლოფზე განსაკუთრებული დგიმები აქვს საშინლად განვითარებული. ეს ძვლის დგიმები იმაგრებენ საფეთქლების და კეფის ლონიერ კუნთებს, თანაც ტვინის კოლოფს ყველა მხრიდან სალტასაებ უქერენ და ამით ძრიელ აფერხებენ კოლოფის ზრდას, ტვინის განვითარებას. ბოლოს საჭმე იქმდების, რომ რამდენათაც გორილლა ხანში შედის, იმდენად ჰქონა უფრო აკლდება, რაღაც ტვინი თითქმის იმდენივე რჩება თავში, რამდენიც ბაგშობისას ჰქონდა. აღამიანს კი თავის

კოლოფზე დგიმი ძლიერ ეტყობა და კუნთებიც არ ამძიმებენ თავის სარქვეველს. ამგვარად ადამიანის თავის კოლოფი მუდამ ზრდაშია, ტვინი და ჰერუ ემატება მეტადრე თუ ავარჯიშებს კიდევ \*).

შესანიშნავია გორილლას სიარული: ჩვენსავით ფეხზე აღმა დგომა ძრიელ ენერგება, ოთხზე სიარული კი უფრო ეხერხება; ამ დროს ხელის მუშტებს მიწას აბჯენს, ხოლო გავას და ფეხებს ისე ისვრის, როგორც ყავარჯენზე მოსიარულე კაცი. ფეხების დიდი თითო, ცერი, ძრიელ დაშორებული აქვს დანარჩენ თითებთან, რის გამოც გორილლა თავის მრუდე ფეხებს ისევე ხმარობს, როგორც ხელებს (საგანს ბლუჯავს, ხის ტოტს ფეხს ჩაპიდებს და სხვ.). ამასთანავე ხელ-ფეხის შეა თითები თითქმის უკანასკნელ საღსრამდე გაბანდული აქვს.

გორილლას ტანი მთლიად შემოსილია რუხი ფერის ბალნით, ანუ გრძელი თმით, მხოლოდ პირისახე (განიერი, პაჭუა ცხირით და სქელ ტუჩებით) ვიდრე წარბებამდე, აგრეთვე ყურები და ხელ-ფეხის გული ტიტველი და მუქი ნაცრის ფერი აქვს. ბებერ გორილლებს (მამლებს) წელზედ ბალანი ყოველთვის გადახეხილი აქვთ, რადგან ჩვეულებად სჭირო, როცა ისვენებენ წელს ხის ძირზე, ანუ ტოტზე, დააყრდნობენ ხოლმე.

საშშობლო გორილლასი დასავლეთი აფრიკა, ქვემო გვინეის მაზრა. აქ გორილლა სცხოვრობს უდაბურ, დაბურულ

\*) მამაკაცის თავის ტვინი იწონს 1360—1375, ზოგჯერ კი ადის 1925 გრამამდე. ახლათ დაბადებულ ბავშვის ტვინი ერთ გირვანქას ანუ 410 გრამს იწონს, წლისა რო შესრულდება 900 გრამამდე ადის და მერე 20—30 წლამდე ტვინი სუ ზრდაშია. ასე რჩება 50 წლამდე, მერე კი თანდათან კლებულობს. კაცის სახის მაიმუნებს კი ტვინი არ აღმარებათ 350—400 გრამს, ე. ი. ამათი ტვინი უდრის ჩვენ ერთი წლის ბავშვისას და მთელ სიცოცხლეში ამ ტვინის პატრონებად რჩებიან უჭკვიანესი მაიმუნები—გორილლა, შიმპანზე და ორანგუტანი.

ტყეებში, განსაკუთრებით მდინარე გაბუნის, დენეერას და მოვოს ხეობათა ტევრში. გორილლა ამ არე-მარის მეფეა, მის შიშით იქაურობას მხეცთა მეფეც (ლომი) არ ეკარება.



— გორილლა ან მარტო (მამალი) დახეტიალობს, ან მთელ ოჯახობით (მამა, დედა, 1—2 ბავშვით); ერთს აღგილიასაც, რასაკირველია, იმ დრომდე რჩება, ვიდრე იმ ტყეში თავის საკბილო საჭმელი არ გამოელევა. საწოლს იმართაშს საკა შეხვდება ხის სქელ ტოტებზე, რამდენსამე აღლის სიმაღლეზე — შტოებს ამჟღვრევს და ფრჩხის ლოგინს იმართავს. საწოლში იძინებენ მისი შვილები და ზოგჯერაც დედა, თითონ მამა-კი

მიწაზე იძინებს, ხის ძირზე მიყუდებული. მთელ სიცოცხლეს გორილლა დედამიწაზე ატარებს, ხეებზე აღის მხოლოდ საჭმლისთვის — ხილის და ნორჩი ფოთლების მოსაკრეფად. მეტადრე უყვარს ერთგვარი ხილი და, ჩვენებურ ქლიავს ჰგავს. იშვიათად, როცა მთაში საჭმელი შემოაკლდება, ბარად ჩადის პლანტაციების, ბოსტან-ნათესების ანუ ხილ-ნარის ასახრებლად, წყალს მაგრე-რიგად არ ეტანება, ოლონც კი მცერიანი ხილი და ნორჩი ფოთოლ-ყლორტები ულეველად ჰქონდეს. თუ წყალი დასჭირდა მდინარის ნაპირს ჩადის დასალევად, ამ დროს ზოგიერთა თავხელი ნიანგი სწვდება ხოლმე გორილლას, მაგრამ ვაი მისი ბრალი, გორილლა ჯერ გუფთასაებ ზეგვამს ნიანგს და მერე თავის ძლიერ ხელებით ყბას უხლეჩს.

ევროპიელ მოგზაურებს გორილლას ამბავი ჯერ მე-XVI საუკუნეშიაც ჰქონდათ გაგებული; მაგრამ ეს ამბები უფრო ზღაპრული ხასიათისა იყვნენ, ნამდვილი ცნობები კი მხოლოდ განვლილ საუკუნის ნახევრიდან მიიღეს. გუბრ ფონ-გაზენფედი პირველი ევროპიელი იყო, რომელიც, ამ ოციოდე წლის წინად, თავგანწირულად დაეძებდა გორილლებს მათს სამ-შობლოში. ამ მეცნიერმა და გულადობით განთქმულმა მონადირემ თავის ხელით მოჰკლა უშველებელი მამალი გორილლა. კოპენფელსი მთელი ათი წელიწადი ადგილობრივ ზვერამდა და შეი ტყეში თვალ-ყურს ადგვნებდა — სწავლობდა გორილლათა ხასიათს და მათ ყოფა-ცხოვრებას.

ადგილობრივი ხალხი გორილლას „ნდშინა“-ს, „მჰუნ-გუ“-ს ეძახის და მისი შიშით თავ-ზარ დაცუმული ვინ იცის რა ცრუმორწმუნოებით არ გაუღენთილა. რ. ბურტანი კი ამ-ბობს: „გორილლა ჩვეულებრივი, უბრალო მაიმუნია და არა ის ჯოჯოხეთიდან გამოვარდნილი ეშმაკი და ღვთის რისხვა, რომელიც მითომ ნახევრად ადამიანი და ნახევრად საშინელი მძინვარე მხეცი, როგორსაც აგვიწერენ ადგილობრივი ზან-გები“... ის კი უნდა ვსთქვათ, რომ გორილლა მართლაც და საშინელი კბილების მქონი და ძალ-ღონის პატრონია, მაგრამ თუ ხელს არ ახლებენ, თითონ მის დღეში არას ერჩის ადამიანს.

ხოლო თუ მონაღირებ მამალი გორილლა დასჭრა, მაშინ კი აღარ დაინდობს—გააფთრებული ეძერება ხოლმე თავის მტერს და ვაი მისი ბრალი გორილლას ხელში .თუ რო მონაღირეს გორილლა მოულოდნელად ზედ წააწყდა და უცაბედად შეეფეთა, მაშინ გორილლა აღმართული დგება, ფეხებზე მოჰყვება ჯერ რაღაც ნაირ საშინელ მუქარას და ბრდლვინვას, მერე დაიწყებს გულში მუშტების ცემას და მოჰყვება ისეთს ღრიალს, თითქოს ქვევრიდან ათასი დრევი ამოიძახისო, ამ შემთხვევაშიაც თუ რო კაცი არ აჩქარდა, მშვიდობიანად მოერიდა, გორილლა აღარას ერჩის—არ გამოეკიდება.

უწინ ვერას გზით ვერ ჩაეგდოთ ხელში ცოცხალი გორილლა, ევროპაში მოსაყვანად პირველად ეს მოახერხა დოქტორმა ფალევნშტეინმა, გერმანიის ექსპედიციის წევრმა, რომელიც იკვლევდა დანანგოს (აფრიკაშია, ქვემო გვინეეს კიდე) 1875 წ. პირტანებროშია ამ დოქტორს ერთმა ზანგმა მოუყვანა გორილლას ბავშვი, თურმე შორს, სადღაც უტეხ ტყეში დედა მოეკლა და შვილი ჩაეგდო ხელში, პატარა გორილლა სულ რამდენიმე თვისა იყო; ისე ჩქარა მოშინაურდა და ხელზე შეგწია ხალხს, რომ იხეთივე თავისუფლება მიანიჭეს, როგორიც შინაურ ცხოველს, დოქტორმა ფალევნშტეინმაც მალე შეისწავლა მისი ხმის ჰანგები, რომლითაც მაიმუნი გამოსთვევამდა სხვა და სხვა სურვილს და შთაბეჭდილებას—შიშს, უკმაყოფილებას, ალერს, თხოვნას და სხვა გვარ სულის კვეთებას... გორილლამ ტყვეობაში ცხრა თვე დაჰყო აფრიკაში; შემდეგ ევროპაში გადიყვნებს და იქ, მას ბერლინის აკვარიუმში, დიდის უურადლებით უვლინენ, მაგრამ 15 თვეზე მეტი ვერ გაუძლო ევროპის ჰავას, მეცნიერთა სამწუხაროდ პატარა გორილლა მოკვდა ჭლექით, რითაც იხოცება ევროპაში აღამიანის სახის ყველა მაიმუნი. უკანასკნელ წამამდე გორილლა ძრიელ მშვიდობიანად და ალერსიანად ექცეოდა თავის კეთილმყოფ აღამიანებს.

მეორე-ჯერ 1883 წ. ჟენევ-ლექშემ მოიყვანა ევროპაში პატარა გორილლა, ისევ ის ავგილის დაჭრილი, ამ მაიმუნსაც თავგამოდებით უვლინენ იმავ ბერლინის აკვარიუმში. იქანი

მევდნენ სრულებით ისე, როგორც აღამიანს; გორილლა საჭ-  
 მელს კოვზით სჭამდა, კრაოტზე იძინებდა, საბანს იხურავდა და  
 სხვა. საშენლად სტულდა მარტოობა, ერთს წამს მომვლელი  
 (სტოროვი) რო მოშორებოდა ძრიელ ნაღვლობდა, ასე რო  
 მოსამსახურეც არ შორდებოდა ხოლმე, ვიდრე არ დააძინებდა.  
 ზოგჯერაც გორილლა თავის მოსამსახურეს გულში ჩაიკრავდა,  
 ჩაიხურებდა და ისე იძინებდა, რა არის არ გამეპაროს, ამ  
 პატარა მაიმუნს. ძრიელ უყვარდა, როცა მანდილოსნები კალ-  
 თაში ჩაისვამდენ, ათამაშებდნენ და ტკბილეულობას აქმევდნენ.  
 სამწუხაროდ, 14 თვეზე მეტი, ვერც ამ გორილლამ იცოცხლა,  
 იმავე ჭირმა თან გადაიტანა.

### მეორე გვარი

#### შიმპანზე

შიმპანზე გორილლას მეზობელია, სკელორობს იქვე აფ-  
 რიკაში. გორილლაზე პატარაა და ტანითაც მოკლე. შიმპანზეს  
 თავის ქალა უფრო პრტყელი და მომრგვალო აქვს, არც ძვლის  
 დგიმები და არც წარბოთ მშვილდები ისე განვითარებული არა  
 აქვს, როგორც გორილლას. სახის მეტყველებაც უფრო მშვი-  
 ლობიანი აქვს და თვალებიც უფრო დიდორობიანი. ცხვირ პრტყე-  
 ლია, ზემო ტუჩი საკმაოდ გრძელი აქვს, ქვემო კი ლაშივით  
 დაშვებული. შიმპანზეს შეუძლია, მეტადრე როცა გაანჩხლე-  
 ბულია, თავის ძრიელ მოძრავი ტუჩები შეაერთოს პოროტო-  
 ტოსავით, ანუ ხორთუმივით გრძლად გამოიშვიროს. ყურები მე-  
 ტად დიდი აქვს, თანაც ნაკლებად უგავს ადამიანისას. ძრიელი  
 კუნთებიანი, გრძელი ხელები მუხლებ ქვეითამდე უწევს (უფ-  
 რო გრძლად ვიდრე გორილლას). თითები და მეტადრე შუა-  
 თითო ძრიელ გრძელი აქვს, ხილო ცერი წვრილი და მოკლე.  
 ფეხებზე ცერი ძრიელ დაშორებია სხვა თითებს, ფეხის გული  
 პრტყელი აქვს, შიმპანზე თხლად არის ბალნით შვემისილი;  
 თავზე თმა გაყოფილი აქვს; კისერი, ლოყები, მხრები, ზურ-  
 გი და ხელ-ფეხი უფრო მუქი შავი გრძელი თმითა აქვს შე-  
 მოსილი, სახეზე ზოგს მოთეთრო ბუსლისიც ასხია.

# ჯეჯილი

საქართველო ნხადის გურნალი

(მეთვრამეტე წელიწადი)

შილება ხელის მოწერა 1908 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ. ურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილ ყმაწვილებისათვის. თითო წიგნში იქნება არა ნაკლებ ოთხამდე ფურცელი, ანუ 64 გვერდი.

## შ რ ნ ა ლ ი „ჯ ე ჯ ი ლ ი“

თბილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ გაგზავნით 5 პ.

ჩახევერი წლით . . 2 „ ცალკე ნომერი . . . . —40 კ.

ქალაქ გარეშე მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ **ძუთაისეზი** ნ. ილ. მღვდლიერისას და წიგნის მაღაზიას „კოლხიდა“. გათუმაზი წიგნის მაღაზიას „მევიბარი“, ღვარის გარეშე წიგ. მაღ. „მედი“, დაბა ხონიშვი მასწ. გ. ბოკერიას, ახალსახაკში წიგ. მაღ. „სინათლე“, სამოქადაგის გ. ფოცხვერიას, შვიჩილაში წიგ. მაღ. ალ. ბაჩეჩილაძეს, გამოშვი ქართ. თეატრში ი. თეატრშილს, პიათურაში ვ. მოეშვილს.

თბილისში ხელის მოწერა მიიღება: წერა-კითხვის საზეანცელარიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში: არტილერიის ქუჩა, № 5, კადეტის კორპუსის გვერდით.

ფოსტის აღრესი: Въ Тифлисъ, въ ред. Грузинского детского журнала „Джелжили“.

„ჯეჯილის“ სრული 16 წლის გამოცემა (რომელიც შეადგინს 140 წიგნზე მეტს), ეღირება გაგზავნით სხვადასხვა ქალაქებში 30 პ. თბილისში სასწავლებლებს, რომელნიც რედაქციიდან თითონვე წააღებინებენ, დაეთმობათ 25 პ. ცალ ცალკე წლების „ჯეჯილები“ თითო წლისა ეღირება 2 პ.

რედ.-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

მიიღება ხელი გორება 1908 ფლისათვის  
უკუკელდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ქადაგი

## ପ୍ରକାଶନ

૩૧૯૬૦

۱۳۰۶

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

ნახევარის წელი

თფილისში. 6 გ. 50 კ. თფილისში. 4 გ. — კ.

საზღვაო-გარედ. 7 „ თფილისის გარედ 4 „ 50 „

საზღვარ-გაოედ 12 „ — „ საზღვარ-გაოედ 6 „ — „

גַּדְעָוָןְסָוָן

თფილ სში. — 75 კ. თფილის გარედ — 80 კ. საზღვარ-გარედ  
1 ა. 50 კ.

ଓଲିପା ଲୋହରୁ କରାଇଗାର ଏକଟି ଶାଖା

ფოსტის ადრესი თიფლის რედაქცია გაზ. „ИСАРИ“

Digitized by srujanika@gmail.com

Открыта подписка на 1908 годъ

Третій годъ изданія.

**П о д п и с н а я ц ъ н а .**  
СТ ПЕРЕСЫПКОЙ ВЪ ДР. ГОРОДА  
ВЪ ТИФЛИСѢ.

• 6 руб.	— коп.	на годъ	•	•	• 8 руб.	— коп.
• 3 руб. 50 коп.		на полгода	•	•	• 4 руб. 50 коп.	

Повсюду—75 коп., отдельный № 5 коп. Заграницей вдвое.

Редактор-издатель П. А. ГОТУА.